# ქართული აზრი

> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.
>
> აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

№ 51 - 52 ნიუ-იორკი, ნოემბერი, 1962წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, NOVEMBER 1962


### ნიუ-იორკი, ნოემბერი 1962 წ.

ლაოსი, ჩინეთ-ინდოეთის საზღვრებზე ბრძოლები, ვიეტნამი, ფორმოზა, ბერლინი, კუბა... ეს არ არის სრული სია იმ ადგილების, რომელიც რუსეთმა დანაღმა და რომლის აფეთქებაც ყოველ წუთს არის შესაძლებელი.

ზოგადი შთაბეჭდილება დასავლეთის სასარგებლო არ არის. ლაოსის შეთანხმება ფატალურად იყო განწირული და დასავლეთი რუსეთმა ერთხელ კიდევ „გააცურა“. ერთხელ კიდევ გამომჟღავნდა დასავლეთელების გულუბრყვილობა და რუსული იმპერიალიზმის უცოდინარობა. მშვიდობიანობისა და ზავის სიყვარულის გამო, დასავლეთმა თავისი მომხრე მთავრობა გადააგდო და ლაოსში „კომუნისტები“, ე. ი. რუსეთის მონა-მორჩილები გააბატონა. რუსეთთან შეთანხმების თანახმად, დასავლეთმა ლაოსიდან თავისი იარაღი და სამხედრო მრჩევლები გაიყვანა, რუსეთმა კი რუსული იარაღით შეიარაღებული ჩრდილოეთ ვიეტნამის „მოხალისენი“ შიგ დატოვა.

ბერლინში დასავლეთის უფლების შეკვეცის ცდები; ხრუშჩოვის მუდმივი მუქარა, რომ „სეპარატიულ ზავს შევკრავ აღ. გერმანიასთან“ და აქედან გამომდინარე დასავლეთ მოკავშირეების დაუსრულებელი პროტესტები, ბავშვურ ჭირვეულობას უფრო ჰგავს, ვიდრე გონება დამჯდარ სახელმწიფო მოღვაწეთა მოქმედებას. ამავე დროს დასავლეთში ,თითქმის გაბატონებული აზრი, ვითომც „ხრუშჩოვმა გაალიბერალა საბჭოთა რეჟიმი“—უცოდინარობის და უვიცობის უაღრესი გამოვლინებაა.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავიმეოროთ, რომ ტოტალიტალური რეჟიმის გალიბერალება არსად, არც ერთ ეპოქაში არ მომხდარა და არც ეხლა შეიძლება მოხდეს.

იქ სადაც ყველაფერი დამოკიდებულია ერთი ადამიანის სურვილზე, ან ჭირვეულობაზე განა შეიძლება რეჟიმის გალიბერალებაზე ლაპარაკი? ლიბერალურ რეჟიმს ჰქმნის ლიბერალური ინსტიტუციები და არა დიქტატორის გუნებ-განწყობილება, ან მისთვის საჭირო მომენტებში ზოგადი განცხადებები.

ზავისა და მშვიდობიანობით გატაცებულ ზოგ დასავლეთელ მოღვაწეს ავიწყდება ეს ანბანური ჭეშმარიტება და ამიტომ ხშირათ ხდება რუსული პროვაკაციის მსხვერპლი.

ვისაც მიზნათ დაუსახავს ქვეყნიერებაზე ზავისა და მშვიდობიანობის გაბატონება და ვისაც ეს დიადი როლი ისტორიამ მიაკუთვნა, მან, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოსპოს და წალეკოს ტოტალიტალური რეჟიმი, მთელი თავისი პოლიციურ-ინკვიზიტორული ინსტიტუციებით. ეს არის თავისუფალი დემოკრატიული სამყაროს ისტორიული ამოცანა და არა იმ ილუზიებით ცხოვრება, თითქოს ხრუშჩოვი დილის მანანასავით მოევლინა რეჟიმისაგან დაბეჩავებულ საბჭოთა ხალხს და სისხლის მსმელ ტირანს რეჟიმის გამლიბერალებელი უწოდოს. ეს შეიძლება ეპატიოს მოხუც ფილოსოფოსს, მაგრამ არასოდეს პოლიტიკურ მოღვაწეს.

ზავისა და მშვიდობიანობის ოცნებით გაბრუებული დასავლეთელები ხრუშჩოვის ყოველგვარ ლაზღანდარულ განცხადებაში „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ დაახლოვების სურვილს ხედავენ. ისინი ანგარიშმიუცემლათ მისდევენ თავიანთ კეთილ სურვილებს და არა სურთ სინამდვილეს თვალში შეხედონ და აღიარონ. რომ დასავლეთის და რუსეთის გულწრფელი და მყარი თანამშრომლობის და დაახლოვების არც ერთი პირობა მოცემული არ არის.

საბჭოთა კავშირის უგნური „სპეციალისტების“ აზრით რუსეთის დაწყნარება და დამეგობრება შესაძლებელია, თუ მას აღმოსავლეთ ევროპას დაუმტკიცებენ და ამ ხალხის განთავისუფლებაზე აღარავინ იფიქრებს. მაგრამ იმ გარანტიას კი ვეღარ გვისახელებენ, რომელიც რუსეთს თავის მსოფლიოში გაბატონების მისწრაფებაზე ხელს აღებინებს და ამ უკვე მიტაცებულ ერებს და ტერიტორიებს დასჯერდება. ამ საკითხებზე მსჯელობის დროს ხშირად ხმარობენ „ჯენტლემენურ შეთანხმების“ შესაძლებლობას, მაგრამ ისინი არც იმას უწევენ ანგარის, რომ არაჯენტლემენთან ჯენტლემენურ შეთანხმებას არავითარი ღირებულება არა აქვს.

მერე საკითხავია თუ ვისა აქვს უფლება რუსეთს „უფეშქეშოს“ მისგან დაპყრობილი ერები და ეს მის „ისტორიულ ტერიტორიად“ გამოაცხადოს?

ყოველ შემთხვევაში, ამგვარი გამოსავალი, თუ ეს გამოსავალია (?), მხოლოდ შიშის ფსიქოზით შეპყრობილ ადამიანს შეუძლიან მიიჩნიოს პრაქტიკულ მოსაზრებათ და აქედან შორს უნდა იყოს სახელმწიფო მოღვაწე. უფრო მეტიც: შესაძლებელიც რომ იყოს რუსეთის ამ საფასურით გაერთგულება, განა დასავლეთს შეუძლიან ეს ისე გულგრილად შეასრულოს, რომ არ უღალატოს თავის მაღალ დემოკრატიულ პრინციპებს, ჰუმანურსა და ლიბერალურ მისწრაფებებს, რომელმაც განადიდა დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები და რომელიც სანიმუშოდ ანსხვავებს საბჭოთა ტირანიისაგან?

ხრუშჩოვის ხანგამოშვებით რბილ გამოსვლებს,—რომელსაც მუდამ თანა სდევს: კაპიტალიზმს დავასაფლავებთო,— ჩვენის აზრით, ორი ახსნა აქვს.

პირველია ბერლინ-გერმანიის საკითხი. ხრუშჩოვმა თავისი ლაზღანდარობით ისე შორს შეტოპა, რომ თითონაც დაიბნა ასავალ-დასავალში და ამ პრობლემას თავს ვეღარ ართმევს. თუ მან მუქარა შეასრულა და აღ. გერმანიასთან სეპარატიული ზავი შეკრა, უფრო მოსალოდნელია, რომ დასავლეთი ამას არ შეურიგდება და თავის პოზიციებს არ დასთმობს. ამ შემთხვევაში ხრუშჩოვის წინაშე ისმება საკითხი, თუ როგორ უნდა მოიქცეს? ეტაკოს დასავლეთს და ძალით განდევნოს? მან ყველაზე უკედ უწყის რა ტყვია ლითონთან ექნება საქმე და ამ შეტაკებით იმასაც დაჰკარგავს, რასაც, ჯერ-ჯერობით მაინც, დასავლეთი არ ედავება. ხოლო თუ არ ეტაკა, მაშინ მის სეპარატიულ ზავზე ხელის მოწერას ხომ იმ ქაღალდის ღირებულებაც აღარ ექნება, რომელზედაც დაიწერა? ამით ხომ ხრუშჩოვს მოესპობა ლაზღანდარული მუქარის და შანტაჟის შესაძლებლობა და ქვეყანა დაინახავს მის ნამდვილ ბუნებას და რუსეთის რეალურ ძალას.

ეს არის მიზეზი, რომ მრავალ წელთა გასწვრივ ხრუშჩოვი „აშინებს“ დასავლეთს და სეპარატიულ ზავზე მაინც ხელს არ აწერს.

მეორე გარემოება, რომელიც ხრუშჩოვს აჩერებს და ზოგიერთ შემთხვევაში „გალიბერალების“ პოზაში გვეჩვენება ამას აიძულებს მთელ საბჭოთა კავშირში და ე. წ. კომუნისტურ სამყაროში გაბატონებული ეკონომიური კრიზისი.

რუსეთის მიერ აღიარებულმა სახელმწიფო დაგეგმის ეკონომიურმა პოლიტიკამ მთელ ამ თვალუწვდენელ სივრცეზე შიმშილი და სილატაკე გააბატონა. ერთ მილიარდზე მეტი ხალხი მშიერი, ტიტველი და ყოველგვარ პირველი მოთხოვნილების საგნებს მოკლებულია. „კომუნისტური სამოთხის“ მპყრობელი რუსეთი ამას დიდი ხნიდან არის შეჩვეული, მაგრამ, ჯერ-ჯერობით, თვით კრემლის მრისხანებამაც ვერ შეაჩვია რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები ამ „საამურსა და სასურველ“ ცხოვრებას“ და ეროვნულ ჩაგვრის მომენტებს, შექმნილი ეკონომიური კრიზისი უფრო ზრდის და აძლიერებს. ამგვარად, საბჭოთა კავშირის არა რუს მოსახლეობაში და მთელ კომუნისტურ სამყაროში ანტირუსული მოძრაობა უფრო ღრმავდება და ძლიერდება.

დოგმატიურობას და არა კომპეტენტური ხალხის მეთაურობას ქვეყანა მიჰყავს კატასტროფისაკენ და ნიავდება ეროვნული დოვლათი.

უკანასკნელ ხანებში აღ. გერმანიაში შემოღებული ხორცის და კარაქის ულუფის განსაზღვრა, ბულგარიაში ყოველგვარი ბოსტნეულობის, პოლონეთში და სხ...ნათლად ამჟღავნებს კომუნისტურ ეკონომიური პოლიტიკის აფსოლუტურ გაკოტრებას.

რუსეთისათვის აღ. გერმანიას ყველაზე დიდი საპროპაგანდო მნიშვნელობა ჰქონდა. აქ უპირდაპირდებოდა ერთი-მეორეს ერთი და იგივე ერი, ერთნაირად შრომისა და ბრძოლის უნარიანი და აქ უნდა გამომჟღავნებულიყო სახელმწიფო დაგეგმის პოლიტიკის უპირატესობა. ეს ცდა ბერლინის სამარცხვინო კედლით დასრულდა, რათა მონათ ქცეულ აღ. გერმანელებისათვის მოესპოთ შესაძლებლობა, რომ „კომუნისტური სამოთხიდან“ „კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში“ გადასულიყვნენ.

ამგვარად დამშეული და გაღატაკებული ხალხი, ეროვნულად დამონებული, პიროვნულად უფლება აყრილი, თუ რა ენერგიით იომებს თავისი „გალიბერალებული“ მპყრობელისათვის, ხრუშჩოვს გათვალისწინებული აქვს. აქედან წარმოიშვის მისი წაჯექ-უკუჯექობანი: ხან „გალიბერალებული“ კომუნიზმის ლიდერი და „თანაარსებობის“ ფალავანი, ხან კი „კაპიტალიზმის დამსაფლავებელი“.

ამიტომ არის, რომ ხრუშჩოვი ლაზღანდარული მუქარით ცდილობს დასავლეთს რამე დაათმობინოს და თუ სადმე რკინის მუშტი დაინახა დაუყონებლივ ლიბერალდება, თვინიერდება და „კაცთმოყვარეობის“ გამო უკან იხევს.

დროა დასავლეთმა ეს შეიგნოს და აქედან სათანადო ლოღიკური დასკვნებიც გააკეთოს.

### რა გამოირკვა?

„შეერთებულ შტატებს არ უნდა აწუხებდეს, რომ საბჭოთა კავშირი ეხმარება კუბას. ამ დახმარების მიზანი არ არის აგრესიული. ის არ ემუქრება არც შეერთებულ შტატებს, არც გვანტანამას და არც პანამას“.

(გრომიკოს სიტყვიდან გაერთიანებულ ერებში. სექტემბრის 21-ს).

ასეთი იყო „მშვიდობიანობის ერთგულ და კაცთმოყვარე“ ხრუშჩოვის და მისი აგენტების მლიქვნელური განცხადებები თვით პრეზიდენტ კენედის „დარტყმის“ წინა დღეებშიც

როგორც კენედიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, მას მოატყუა ხრუშჩოვმა და მას ტყუილი უთხრა ხრუშჩოვის მინისტრმა გრომიკომ, როდესაც განუცხადეს, რომ კუბაში აგრესიული სახის იარაღები არ არსებობსო.

ოქტომბრის 24-ს კენედიმ მსოფლიოს აცნობა, რომ რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეები მატყუარები არიან და მათ არაფერი დაეჯერებათ.

კენედის განცხადებას თან მოჰყვა თავისუფალ სამყაროს „მეხუთე კოლონების“ ქუჩაში გამოსვლა და ქუჩური თავდასხმები. „მეხუთე კოლონების პრესამ“ არ მოუცადა თავისი შეფის—ნიკიტას პასუხს და ენერგიულათ დაგმო და დათრგუნა „ამერიკული იმპერიალიზმი“. კერძოთ იტალიელ კომუნისტების ორგანო „უნიტა“ თავის ოქტომბრის 27-ის ნომერში უდანაშაულო კრავივით აცხადებდა: „დასავლეთის პროპაგანდისტთა შორის არავინ აღმოჩნდა, რომელიც იტყოდა, თუ რატომ დასჭირდებოდა საბჭოთა კავშირს კუბას ბაზა, როდესაც ის ფლობს ინტერკონტინენტალურ მისილებსო“ და აქედან დასკვნა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ „კრიმინალური ამერიკული იმპერიალიზმის“ მიერ არის მოჭორილი და შეთხზული.

იმ პერიოდში აქ მყოფი გრომიკო ისე „გაიპარა“, რომ არავითარი განცხადება არ გაუკეთებია, ხოლო გაერთიანებულ ერებში რუსეთის დელეგატი ზორინი კი დიდ ხანს უარყოფდა ამ „კაპიტალისტების მიერ მოჭორილ ამბავს“.

მაგრამ სულ მალე თვით ხრუშჩოვმა გადაასხა ცივი წყალი „ლენინ-მარქსისტული იდეებით“ გულ გახურებულ კრემლის ფინიებს.

ხრუშჩოვმა იგრძნო, რომ უკვე საქმე აქვს სერიოზულ გარდაწყვეტილებასთან და დაუყონებლივ აღიარა კუბაში არსებული იარაღის ამერიკული ვერსია: „მართალია, რასაც თქვენ აგრესიულს ეძახით, ის იარაღი მეტად მრისხანეაო“ და პრეზიდენტ კენედის აღუთქვა მისი კუბიდან გატანა. ლაზღანდარა დიქტატორი, რომელიც მთელ ქვეყანას თავისი მისილებით წალეკვას ემუქრებოდა, მოულოდნელად თვინიერი, დამჯერი და კაცთმოყვარე გახდა.

ხრუშჩოვმა დაივიწყა თავისი საქვეყნო განცხადებები, რომ კუბა მარტო არ არის, რომ რუსეთი მას დაიცავს და რომ არ არსებობს მსოფლიოში არც ერთი კუთხე, რომელსაც რუსული მისილები არ მისწვდება და არ გაანადგურებსო... დაივიწყა, რომ კასტრო მისი „მეგობარია“ და მეგობართან კი მოთათბირებაა საჭირო... დაუყონებლივ მიატოვა „მეგობარი“ და კუბიდან გაიქცა.

საკითხავია, რატომ მოჰქონდა ნიკიტას თავისი იარაღი კუბაში, თუ პირველი ფეხის დაბრახუნებისთანავე გაიქცეოდა?

ამისი ახსნა კრემლის დიპლომატიაში მოიძებნება. რუსული დიპლომატიის აზრით ფლორიდის გასადევარ წყლებში შემოჭრა „უხერხემალო დემოკრატიას“ იმდენათ დააფრთხობს და შეაშინებს, რომ რუსეთი ამის საფასურში უეჭველად ამერიკის ევროპიულ კონცესიებს ჩაიგდებს ხელში. ხრუშჩოვმა კიდეცა სცადა და ოსმალეთის ბაზების დატოვება მოითხოვა, მაგრამ კენედის სიმტკიცის წინაშე ის მელასავით მიწაზე გაერთხა და რათა „კაცობრიობას ომის მრისხანება აეცილოს“, ამიტომ უპირობო კაპიტულაცია მოახდინა.

მართალია ზოგი უნიჭო „კრემლინოლოგი“ კვლავ შეეცადა ნიკიტას პრესტიჟი დაეცვა და უაზროთ დაიყვირა: აკი მოგახსენებდით ხრუშჩოვი გულწრფელი მომხრეა „თანაარსებობისო“, მაგრამ ამ „დაყვირებამ“ ნიკიტას პოზა ვეღარ გადაარჩინა. ამ მოვლენამ ნათელჰყო, რომ რუსეთის სამხედრო ძლიერება და კერძოთ მისი „ინტერკონტინენტალური მისილები“ პროპაგანდული ხასიათისაა და პირველი შემთხვევისთანავე საპნის ბუშტივით სქდება.

ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ როგორიც არ უნდა მრისხანე და ავტომატიური არ უნდა იყოს იარაღი, მაინც მას ადამიანის ხელი სჭირდება. ხრუშჩოვს კი სწორედ ეს აკლია: ის ვერ ენდობა რეჟიმის მიერ უფლება აყრილ და დაბეჩავებულ საბჭოთა მოქალაქეს, მით უმეტეს ვერ ენდობა ეროვნულად დაპყრობილ და დამონებულ ერებს. ამიტომ მის ხელში დაგროვილი „არსენალიც“ კი არარაობას წარმოადგენს და იძულებული იქნება დასავლეთთან სერიოზულ შეჯახებას მოერიდოს.

აი ნამდვილი მიზეზი ხრუშჩოვის სამარცხვინო კაპიტულაციის და არა „გულწრფელი თანაარსებობის“ სურვილი.

დასავლეთის „კრემლინოლოგებს“, რომ ცოტა თავი შეეწუხებინათ, მცირე დრო დაეკარგათ და საბჭოთა კავშირის შინა ვითარება შეესწავლათ, მაშინ ამის გათვალისწინება ძნელი არ იქნებოდა.

როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს საბჭოთა კავშირი რუსეთის მიერ დაპყობილ ერებისაგან შესდგება. საქართველო-კავკასიას, უკრაინას, ბელორუსიას, თურქესტანს და სხ... არასოდეს ხელი არ აუღიათ საკუთარ ეროვნულ მისწრაფებებზე და რუსულ ბატონობას არ შერიგებიან. მეორე მსოფლიო ომმა დაამტკიცა, თუ რა „ძმური და მეგობრული თანაარსებობა“ დაამყარა რუსის ხიშტმა დაპყრობილ ერებში: წითელ არმიიდან „მტრის“ მხარეზე გადარბენილი ასიათასები რა სანიმუშო ენტუზიაზმით ებრძოდნენ „უფროს ძმასა და მასწავლებელ“ რუსეთს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთმა უფრო გააფართოვა თავისი იმპერიის საზღვრები და თავის ბატონობა გაავრცელა აღმოსავლეთ და ცანტრალურ ევროპის ქვეყნებზეც. ყველგან რუსული დივიზიები ქმნიან „საბჭოთა ხალხის ძმურსა და მეგობრულ თანამშრომლობას“

ამ თვალუწვდენელ სივრცეზე არა რუს ერების ეროვნულ ჩაგვრას ზედ დაერთო „მარქსისტულ-ლენინური“ ეკონომიური პოლიტიკის წყალობით გაბატონებული სიღატაკე, რაც დამპყრობელისადმი სიძულვილს უფრო აძლიერებს.

ამ ეროვნულად დამონებულ და ეკონომიურად გაღატაკებულ ხალხის კრებულს უწოდა მოსკოვმა „ვარშავას ბლოკი“. თითქოს ეს უნდა ყოფილიყო დასავლეთის თავდაცვის ორგანიზაციის მოპირდაპირე სამხედრო დარა

## ფიქრები აგვისტოს აჯანყების წლის თავზე.

აგვისტოს აჯანყების 38-ტე წლის თავზე, ჩვენი ფიქრები, ჩვეულებრივად, ამ დიდ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენის ირგვლივ ტრიალებენ. რაც მეტად დავშორდით ამ თარიღს, და რამდენათაც მეტად შევძელით ამ მოვლენის ცივი გონებით განჭვრეტა. იმდენათ ხშირად წამოჭრილა კითხვა: ამ აჯანყებამ ქართველ ერს უფრო მეტი ვნება თუ სარგებლობა მოუტანა? ე. ი. სხვა სიტყვები, რომ ვიხმაროთ; სასწორის ერთ მხარეზე, რომ ქართველ მამულიშვილთა ფიზიკური მსხვერპლი დავდოთ, ხოლო მეორე მხარეზე ამ გამოსვლის დიდი პოლიტიკურ-მორალური ღირებულება. რომელი მხარე სასწორისა გადახრის?!

დღეს ჩვენ მიზანს არ შეადგენს ამისგარჩევა და ამიტომ არც ვაპირებთ ამ კითხვას უპასუხოთ. საჭირო კი არის როდისმე ეს საკითხი ისტორიული პერსპექტივით განიხილოს და ამას ცივი გონების ნაანგარიშები პასუხი გაეცეს. ეს განსაკუთრებით აჯანყების მომწყობ და მის აქტიურ მონაწილეთა ვალია.

ჩვენ კი მას სხვა კუთხიდან უდგებით დღეს. უპირველეს ყოვლისა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი მასიური გამოსვლები ხელოვნური „მოწყობა-ჩაწყობებით" არა ხდება და ის უფრო სპონტანური იყო; შექმნილი გარემოების გამოძახილი. ამას აჯანყების ე. წ. ორგანიზატორები, უნდა აჰყოლოდნენ, ან მასებისგან გარიყულიყვნენ. ეს ერთგვარი სიმბოლიური აღმოხეთქვა იყო ხალხის სურვილისა და, მოგეხსენებათ: „ხმა ღვთისა ხმა ერისა"-ო... საქართველომ ამ მსხვერპლის გაღებით კაცობრიობას დაანახვა, რომ მას დამოუკიდებლობა სურს და დამოუკიდებელი ეროვნულ სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის მომზადებულიც არის და ისტორიული ტრადიციებითაც ეს დამსახურებული აქვს.

აქ გვაგონდება აკაკის „ბაში აჩუკის" დასასრულიდან ერთი ადგილი.

ვახტანგ მეფის სასახლეში გამართულ თათბირზე შაჰ-აბასის წერილი წაიკითხეს. შაჰი კახეთის გმირების: შალვას, ელიზბარის და ბიძინას დაუყონებლივ მასთან წარდგენას მოითხოვს. შეწუხებულ მეფეს შალვა და ბიძინა მიმართავენ: „...დიდებულო მეფევ, რაც ფოთლები ხისათვის არიან, იგივე ვართ ჩვენ ერისათვის... ნახევარი საუკუნის შემდეგ არცერთი ჩვენგანი ცოცხალი აღარ იქნება, მაგრამ სხვები მოვლენ ჩვენ შესაცვლელად... საქართველო ჩვენი ცხოვრების ხე არის, ვიდრე მისი ფესვები საღია და ტანი მაგარი, იგი არ დაიღუპება, რამდენი ფოთლებიც კი არ უნდა ჩამოცვივდეს... ვერც ერთი ხეხილი, ან და ხე ვერ გადარჩება თუ იგი არ მოირწყა, ასევე ერის დიდება და მისი გადარჩენა მოითხოვს ოფლის გარდა, რომ ხანდახან იგი მოწამებრივი წმინდა სისხლით მოირწყას"-ო. (წიგნის უქონლობის გამო „ბაში აჩუკის" ეს ადგილი ზეპირად მომყავს. თუ ტექსტი ზედმიწევნით არ იქნა დაცული, მკითხველს ვთხოვ მომიტევოს. გ. გ.) საუკუნეთა განმავლობაში ქართველი მამულიშვილები არ მორიდებიან სისხლსა და მსხვერპლს და დას-დასათ ეწირებოდნენ სამშობლოს უზენაეს მისწრაფებებს. ჩვენი მამა-პაპათა სისხლით მორწყულ და ძვლებით გაპოხიერებულმა მიწამ მისცა წყარო ჩვენი ერის არსებობას და მისი ძირები ნორჩათ შეინახა და ის არ დააზრო. 1924 წლის აჯანყებაც ამ კატეგორიას მიეწერება და იქ დაქცეული სისხლიც ამ მისწრაფებებს მიეძღვნის.

ასეთია ქართველი ერის ისტორიული ტრადიციები, ამ ნიადაგშია ღრმად გამდგარი ქართველი ხალხის ფესვები და მას ვერც დრო და გარემოება შესცვლის და ვერც ვერავითარი ქარიშხალი გადარეცხავს. მაგრამ დრო შეიცვალა და ახალ, ატომურ ხანაში ერის თავდაცვის მეთოდებიც და მისი თავდაჭერაც უნდა გამოიცვალოს. როგორც ილია იტყოდა: დროის შესაფერი ხმალი უნდა ვიხმაროთ და დროის შესაფერი ფარიც მოვიშველიოთ.

მწარე გამოცდილებიდან ვიცით, რომ დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა დახმარება ვერ აღმოგვიჩინეს 1924 წლის აჯანყების დროს.

მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა რუსეთმა დაარღვია ომის დროინდელ მოკავშირეებთან დადებული ხელშეკრულება და თავისუფალ არჩევნების მაგიერ თავის „ზონაში" მოქცეულ ევროპის ერებს კრემლის ერთგული კომუნისტური „მთავრობები" გაუბატონა, მიუხედავათ ამ უსამართლობისა, რომელიც დასავლეთმა არცა სცნო და არც მიიღო, მაინც 1956 წელს დემოკრატიულმა სამყარომ ვერავითარი დახმარება ვერ აღმოუჩინა აჯანყებულ გმირ უნგარელებს.

ამ გამოცდილების მიხედვით, შეუძლებელია მსგავს შემთხვევაში რაიმე დახმარების იმედის დამყარება დემოკრატიულ ქვეყნებზე.

1956 წლის მარტის გამოსვლამ თბილისში კაცობრიობას დაანახვა, რომ ქართული ეროვნული სული არ მომკვდარა. ჩვენთვის, უცხოეთში მყოფ ქართველებისათვის კი სრულიად ცხადი გახდა, კრემლის არა რუს ერთა დამონების ვერაგული პოლიტიკის გამძაფრება, რამაც ქართველი ახალგაზრდობა ამ უკიდურეს ნაბიჯამდე მიიყვანა. სამწუხაროთ ამანაც შეიწირა ახალგაზრდობის საკმაო რიცხვი.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლის მაღალი ტრადიციების მქონე ქართველი ერი მომავლისათვის, სიმამაცესთან ერთად, მამა-პაპეულ სიბრძნესაც გამოიჩენს და მოიგონებენ: „სადაც არა სჯობს. გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო" და არ აჰყვებიან მტრის პროვოკაციებს და არ მისცემენ მიზეზს, რომ თბილისის მწვანე მდელო კვლავ წითლად შეიღებოს.

ქართველი ერის ძირები უკვე საკმაოთ არის მორწყული მამა-პაპათა სისხლით და ახალი თაობის მოვალეობაა ის მხოლოდ ისტორიულ მეცნიერული საშუალებებით გაამაგროს და განამტკიცოს.

ერის სულიერ-კულტურული ნიადაგის გამაგრება, მისი ფიზიკური ძალების დაზოგვა და გამრავლება: აი ეს არის, ჩვენი ღრმა რწმენით ახალი დროის ფარი და ხმალი.

## რა გამოირკვა?

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე).

ზმულობა. კრემლის ბატონებს და თვით დასავლეთის „კრემლინოლოგებსაც" მხედველობიდან გამორჩათ, რომ დასავლეთის თავდაცვის ორგანიზაცია კუჭ-მაძღარ, ეკონომიურად აღორძინებულ თავისუფალ სახელმწიფოთა, თავისუფალი, ნებაყოფლობითი თანამშრომლობაა,—ვარშავის ბლოკი კი რუსეთისაგან დამონებულ, დამშეულ და გალატაკებულ ერთა ნაძალადევი კავშირია.

დასავლეთელმა „კრემლინოლოგებმა", რომ ამას გაუწიონ ხოლმე ანგარიში და მოვლენები ამ თვალსაზრისით შეაფასონ, მაშინ თავიდან აიცდენენ იმ „ფანტასტიური" დასკვნების გაკეთებას, რომელიც არასდროს არა მართლდება და სინამდვილისგან ყოველთვის დაშორებულნი არიან.

კენედის გამოსვლას წინ უსწრებდა შერთებული შტატების მთელი მოსახლეობის ურყევი გარდაწყვეტილება, რომ „ფლორიდის წყლიდან" რუსეთი უნდა განიდევნოს. პრეზიდენტს ამერიკული საზოგადოებრივი აზრი ყელამდე ჰქონდა შემომდგარი და მით იყო განმტკიცებული და წახალისებული. ხრუშჩოვს კი თანა სდევს, არა მარტო რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა, არამედ მათ შორის გალატაკებულ რუსის ხალხის სიძულვილი, მტრობა და გესლი.

აი ის შინა ვითარება, რომელიც ნათელს ხდის, რომ კენედი-ხრუშჩოვის დაპირდაპირებაში გამარჯვება პირველს უნდა დარჩენოდა და დაარჩა კიდეც. მეორე წინდაწინ არის ფატალურად განწირული და კიდეც უნდა დაიღუპოს...

ეს არის ხრუშჩოვის სამარცხვინო კაპიტულაციის ნამდვილი მიზეზი და არა მისი „გულწრფელი თანაარსებობის" სურვილი.

ისტორიამ დიდი ხანია თავისი მკაცრი განაჩენი გამოუტანა მონათმფლობელურ იმპერიებს და მის რისხვას ვერც რუსული იმპერია გადურჩება.

დ. ვარდიაშვილი.

## ხრუშჩოვის სუსტი ადგილები.

ხრუშჩოვის აღმავლობას ბზარი გაუჩნდა... სტალინის სიკვდილის შემდეგ მას ყველაფერი ადვილათ მოჰყვა ხელს: შინაგანი ოპოზიცია იოლათ გაანადგურა, ხოლო გარეთ საბჭოთა კავშირის უვიცმა „სპეციალისტებმა" ლიბერალობის და სახელმწიფოებრივი სიბრძნის მქონე პიროვნებათ დასახეს. ამ ორმა გარემოებამ, განსაკუთრებით კი დასავლეთელების სიბეცემ, მას საჭირო პრესტიჟი შეუქმნა და ის იყო ნიკიტას თავისი გამარჯვება უნდა ედღესასწაულა, რომ ცა პირქუშად მოიღრუბლა... პარტიულ ინტრიგებში დავაჟკაცებული ნიკიტა ველარ გაერკვა სახელმწიფოებრივი მმართველობის მიმოხვეულ გზა-ბილიკებში და ობობასავით საკუთარ ქსელში გაეხვია. მრავალ საკითხთა შორის ნიკიტასათვის უმთავრესი აღმოჩნდა თუ ვის უერთგულოს? კომუნისტურ პარტიას თუ პარტიისგან დამონებულ მოქალაქეებს, რომელთა ინტერესებიც ერთი-მეორეს სამკვდრო სასიცოცხლოდ უპირდაპირდებიან.

მთელ თავის აღმავლობის პერიოდში ნიკიტა ცდილობდა ორთა შუა ეთამაშა და წონასწორობა დაეცვა: ხან პარტიის იდეოლოგების და დოქტრინორების დატუქსვით მოეგო მასის გული, ხან კი მასისათვის მკაცრად შეეტია.

ეროვნული დემონსტრაციები სხვა მხრივაც შეიძლება მოეწყოს. მაგ. გუდმანის ჯაზის მოგზაურობის დროს „კატიუშას" დამღერების გამო თბილისელების საპასუხო დაცინვის ყიჟინამ, ამერიკის პრესაში და ტელევიზიაში უფრო მეტი ყურადღება დაიმსახურა, ვიდრე 1956 წლის მარტის გამოსვლამ.

ქართველ მეცნიერებს, ხელოვნებს და სპორტსმენებს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ, თუ კი ისენი უცხოეთში მოგზაურობის შემთხვევებს მოზომილათ გამოიყენებენ.

საუკუნე ნახევარია რაც რუსეთმა პოლიტიკური რუკიდან ამოშალა საქართველო და ზოგს, გულწრფელად სჯერა, რომ ჩვენი ქვეყანა მართლა „რუსეთის ისტორიული მიწაა". ჩვენ ვერ მოვთხოვთ, რომ „მოგზაურებმა" ჩვენი ეროვნული პროპაგანდა აკეთონ, მაგრამ მათ შეუძლიანთ ყველგან, ყველა ქვეყანაში მტკიცედ დაიცვან თავიანთი ეროვნულობა და ყველას გააცნონ, რომ ქართველები არიან. სამწუხაროთ ჯერჯერობით სწორეთ ამ მხარეს ექცევა ნაკლები ყურადღება...

დიდი ისტორიული წარსულის მქონე პატარა ერის მომავალი მისი ახალთაობის ხელშია, რომელმაც დინჯათ, ფრთხილად და ამავე დროს გაბედულათ უნდა გაიკაფოს სიძნელეებით სავსე გზა.

გ. გაბლიანი.

## გარდასულ მამულიშვილთა გა ბნეული საფლავები.

ვლ. ახმეტელის გარდაცვალებიდან ოცი წლის თავზე.

დიდი ყოყმანის შემდეგ ამ ჟამათ ჩემი ძველი „მემუარების" გადათეთრებას შეუდექი: ვყოყმანობდი იმიტომ, რომ იჭვი მღრღნიდა: ვის რაში სჭირია, ან დასჭირდება ეს ჩემი მოგონებები? შევძლებ ამდენ რვეულების გადათეთრებას და მოვესწრები კი ოდესმე მის დაბეჭვდას?

მაგრამ ზოგიერთმა „გარემოებამ" ეს იჭვები გადამალოახვია და ჩემს ფერგადასულ რვეულებს, ამდენი წლები რომ საყვედურებით მიცქეროდნენ, გულით მიუჯექი.

ერთ-ერთი ასეთი „გარემოება" ის გახლდათ, რომ ამ ძველ რვეულების ფურცლებიდან მიცქერიან ნაოჭებ აყრილ შუბლთა ქვეშ მრავალი ნაღვლიანი თვალები, ჩვენი გარდასული მამულიშვილებისა:— მათი, ვინც ანთებულის გულით, რწმენით და იმედებით წამოვიდა საქართველოდან,—მისთვის სამსახურის გასაწევათ, მეურვედ და ჭირისუფლად. ზოგი ამათგანი ცნობილი მოღვაწენი, გამოჩენილი პოლიტკოსები იყვნენ; პოლიტიკოსები დიდის ფორმატისა, რომელთა სახელი თავის დროზე საქართველოს გარეთაც ჰქუხდა. ზოგნი მწერალნი და მოაზროვნენი; მხედარნი და ხმლის გმირები და სხვანი—უფრო პატარა, ჩვეულიბრივი, მაგრამ სამშობლოს წინაშე ვალის მოხდის წყურვილით გატაცებული მამულიშვილნი. ყველა ესენი: ქალი და კაცი, ხანდაზმული და ჭაბუკი ხომ ამ „ვალის" მოსახდელად წამოსული იყვნენ და სამშობლოს სამსახურისათვის სამშობლო დაეტოვებინათ. და ამ წმინდა „სამსახურში" რამდენი ამათგანი დაეცა, რამდენის გულმა ამ გრძელ და მძიმე წლებს ველარ გაუძლო.

მეც ამ 40 წელთა მანძილზე „ამბების ლოდინის" დაფერფლილ იმედების თანამგზავრს რამდენი ამათგანი შემხვედრია, რამდენი ერთად გვიფიქრია, რამდენი გახარება და მწუხარება გვიგვრძვნია, საქართველოში ნახულის და განცდილის მოგონებებით...ზოგი რამ ამ დაუვიწყარ შეხვედრებიდან ამ ჩემს რვეულშიც შემიტანია; ამ რიგათ, ეს ჩემი, თუ გნებავთ „მემუარები". ამ საყვარელ მამულიშვილთა ერთგვარი მატიანეა; სულ პატარა, ხან უმნიშვნელო ასახვა მათი აზრების და ფიქრების, მაგრამ მაინც საყურადღებო და „განუმეორებელი". ზოგ რამეს აქედან დღეს ხომ ვერავინ აღადგენს, რადგან რაზმი „დამსწრეთა" და „მომსწრეთა" მცირდება.

გავქრებით ჩვენც და ჩვენთან ერთად—ეს ჩვენი ფიქრები და იმედები, „ვითა სიზმარი ღამისა"... ეს რვეულები და შიგ აღნუსხული ზოგი რამ კი დარჩება; და ოდესმე, ვისმეს ჩვენის „ოცნებით" გული აუძგერდება.

აი, ამან ამაღებინა კალამი ძველ ჩანაწერთა გადასათეთრებლად და იქედან გამომცქერ ნაღვლიანი თვალების საყვედურების ასაცდენად მინდა მათ დღეს პატარა ნუგეში მივსცე, რომ „დავიწყება და დაკარგვა" ერთხელაც იქნება მათ აცდება.

მართალია, მწარე ბედი ხვდათ: აქა-იქ გაფანტულად უცხო მიწას მიაბარეს საქართველოსთვის დამწვარი გული, მაგრამ სამშობლო მათ არ დაჰკარგავს,—გაიხსენებს და სამსახურს და სიყვარულს კეთილ მსხვერპლად შეიწირავს.

* * *

ამ რვეულთა გადათეთრების დროს, მე მხვდება ერთი ისეთი ნაღვლიანი სახე კარგი ქართველისა; ამბები...ჩემი და ჩემი ოჯახის დიდი მეგობრის, ჩვენი საყვარელი ძია ლადოსი აქ შემიტანია მრავალი ტკბილი მოგონებანი ამ ადამიანის შესახებ, რომელიც იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი და მწერალი; თან დიდათ ნაკითხი და განათლებული. მაგრამ ყველა ამას ჩრდილავს მისი ერთი და უმაღლესი ხარისხი: ჩვენი ძია ლადო, დოკ. ვლ. ახმეტელი, იყო დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში.

დღეს მის ნაღვლიან სახესთან ერთად სხვანიც გამოიცქირებიან ამ ძველ რვეულთა ფურცლებიდან. შეიძლება უფრო დიდი დამსახურების და ღვაწლის მქონენიც, მაგრამ ამ ჟამად ვლ. ახმეტელი უნდა გამოვყო, რადგან, სწორედ ეწლეხან შესრულდა ოცი წელი, რაც ის სრულიად მოულოდნელად და უეცრად ბერლინის ერთ პატარა ბაღის სკამზე გარდაიცვალა. ეს მოხდა 12 აგვისტოს 1942 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომი მძინვარებდა და მასთან ჩვენ, ყველას, საქართველოზე ათასი ფიქრები და იმედები გვაღელვებდა...

ლადო ახმეტელაშვილს მე ჯერ კიდევ საქართველოდან ვიცნობდი. ხშირად მის ოჯახში ვყოფილვარ,— დეკანოზ გიორგი ახმეტელაშვილის მდიდარ, პურ-მარილიან და ბარაქიან ოჯახში. მაგრამ იქ როგორღაც ასეთი ახლო მეგობრული ურთიერთობა ვერ გაიბა ჩვენ შორის. მე ცოტა მოკრძალებით ვეპყრობოდი იმ ევროპიდან ჩამოსულ ქართველ ინტელიგენტს, რომელიც გულმოდგინეთ „აგრძელებდა" ვრცელ წერილებს გერმანიის ს—დ. და მუშათა მოძრაობის შესახებ. ამ წერილებს ის „შვარცის" სახელით აქვეყნებდა...ლადოს და, ნადია კი, ჩემი ახლო მეგობარი იყო...

შემდეგ, როდესაც ბედმა მე და ჩემი ოჯახი უცხოეთში გადმოგვტყორცნა, ემიგრაციის ამ დაუსრულებელ გზებზე ჩვენი იმედი და დასაყრდენი ძვირფასი ძია ლადო იყო.

მახსოვს რა გულისძგერით შევედი თიხი 1921 წელს ბერლინის ქართულ საელჩოში. კარის კაცი მისაღებ დარბაზში შემიძღვა, იქ მდივანმა ვინაობა გამომკითხა და დამაიმედა: ეხლავ მოვახსენებ თქვენს თხოვნას, რომ მიგიღონო. ერთი წუთიც არ გასულა და ჩვენმა ლადომ თვით გაგვიღო კაბინეტის კარები: მხიარული და აღტაცებული გამოვიდა და გულზე მიგვიკრა... იმ დღიდან ჩვენ მუდმივი სტუმრები ვიყავით ქართულ საელჩოსი. და ჩვენი დაუსრულებელი მოგონებანი, მსჯელობა და ფიქრები მხოლოდ საქართველოს და მის ბედს დასტრიალებდა. და აი, ჩვენ მაშინ მივხვდით, რომ ჩვენი ვლ. ახმეტელი იმით კი არ სთვლიდა თავის თავს ღირსეულად, რომ ლაიპციგის უნივერსიტეტი დოქტორის ხარისხით დაამთავრებია, არც იმით, რომ ის ძველი ჟურნალისტი და მწერალი, საქართველოში კარგად ცნობილი „შვარცი" იყო. მას თითქოს ერთბაშად ჩამოეფცხა ყველა მარქსისტული დოგმები და ის დარჩა ხალას ქართველ კაცად, ქართულის გულით და ეროვნულის ტკივილებით და დღეს ის მტის შეგნებით ეპყრობოდა თავის მძიმე და რთულ მოვალეობას.

ბერლინის ქართული საელჩო იყო მაშინ ჩვენი ცენტრი. ქართული საზოგადოებრივი მოძრაობის და ჩვენი მოღვაწეთა და ახალგაზრდობის იმედი. აქ იყრიდა თავს ამბები საქართველოდან და უცხოეთიდან: მოდიოდნენ ხშირად უცხოელებიც საქართველოს ვინაობის გასაცნობათ. იკითხებოდა მოხსენებები, იმართებოდა ქართული საღამოები და სხდომები ათას საქციო-კომისიებისა. და ყველა ამის

## ხრუშჩოვის სუსტი ადგილები.

(დასაწყისი იხ. მეორე გვერდზე).

მართალია კომუნისტები ახალი პრივილეგიური კლასია, რომელიც მრავალ უპირატესობით სარგებლობს, მაგრამ თვით ეს კლასიც თავის მხრივ სხვადასხვა ნაწილებათ არის გაყოფილი და მათი ინტერესებიც ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან. მთავარი დანაწილება მოხდა გულწრფელ, იდეურ კომუნისტებ და ოპორტუნისტებ შორის. რუსულ კომუნისტურ პარტიაში იდეალისტ კომუნისტები დიდ უმცირესობას წარმოადგენენ და მათ მეთაურათ სუსლოვი გამოდის.

ამბობენ სუსლოვი დოგმატიკოსია, რომელსაც მართლა სჯერა კომუნიზმის ბრწყინვალე მომავალი და ამიტომ მზათ არის ყველაფერი მსხვერპლად მიუტანოს მის გამარჯვებასო. ამავე დროს პარტიაში გაჩნდა „უცნაური" დაჯგუფებები და ეს უცნაურობა იქამდე მივიდა, რომ არსებობენ პროვინციალური, სამხარეო ხასიათის ფრაქციებიც კი. ამას ზედ ერთვის უდიდესი პროცენტი ოპორტუნისტების, რომლებსაც არაფრად ესიამოვნებათ სუსლოვის „მაღალ იდეური" კონტროლი.

სამხარეო კომიტეტები ითვისებენ ფართო ავტონომიურ უფლებებს და ისინი უპირველეს ყოვლისა ლოკალური, ან პირადი სარგებლიანობისათვის იბრძვიან.

ამგვარად, ხდება რუსეთის (ითქმის საბჭოთა კავშირის) კომუნისტური პარტიის სრული დეგრადაცია და სტალინის მთლიანსა და ცენტრალისტური პარტიის ნანგრევებზე წარმოშობილი არის განზრახვებისა და მისწრაფებების შეურიგებლობის მრავალი ჯგუფები.

ვიმეორებთ, რომ შემორჩენილი მცირე რიცხოვანი იდეალისტ-კომუნისტების ჯგუფი ფიქრობს, რომ მდგომარეობის მხსნელი სუსლოვია. სუსლოვის ენერგიულ დაწოლას ხრუშჩოვი დამამშვიდებლათ უპასუხებს: მასა ყოველთვის გულგრილია იდეოლოგიის მიმართო. ხრუშჩოვის აზრით „საჭიროა გაგრძელდეს, ან მივიღოთ პოზა, თითქოს ვაგრძელებთ კომუნიზმს. გადავარჩინოთ ჩვენი სახე და პოზა, რამდენათაც შევეძლიან, ვიდრე რაიმე საწყაულით აღვადგენთ დარღვეულ ეკონომიკას"ო.

სუსლოვი და მისი მცირე რიცხოვანი ამალა ამ ახსნით არა კმაყოფილდება და მოითხოვენ პარტიული იდეოლოგიის მტკიცე დაცვას.

თავისი პიროვნების გადასარჩენად ხრუშჩოვმა კოზლოვი გამოიყვანა სახედ კვიცად. მას მიანდო პარტიული აპარატის მოვლა-პატრონობა.

უკანასკნელ სამ წელიწადში კოზლოვმა პარტიული აპარატის სამი მეოთხედი შესცვალა. სუსლოვის ფრაქციის აზრით, კოზლოვმა პარტიული აპარატის ახალი მოხელენი შეარჩია არა „ლენინურ-მარქსისტული" მიდგომით, არამედ პირადი „უნარიანობის" ნიადაგზე, ესენი უპირველეს ყოვლისა, კრემლის წარმომადგენლებია და არა პარტიის და იდეოლოგიას მოკლებული ხალხიო. მათ ჩქარა გამოავლინეს ბურჟუაზიული სულისკვეთება და არა თაკილობენ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვას. კოზლოვის ახალ შტატში,—როგორც სუსლოვის ფრაქცია ირწმუნება, მრავლათ აღმოჩენილან რელიგიის მიმდევრები. კრემლის ლიდერები კი თვალსა ხუჭავენ ამ „ღალატზე". ხრუშჩოვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ იმ ფაქტსა აქვს, რომ კომუნისტური პარტიის ამ უნტეროფიცრობაში მაგრათ გაუდგავს ფესვი რუსულ ნაციონალიზმს და ამ მიმართულებით „დიდი მიღწევები" აქვთ.

ხრუშჩოვს ახარებს, რომ მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ახალთაობამ ასე მალე შეითვისა რუსული ნაციონალიზმი და მისი ტრადიციები.

მაგრამ საბჭოთა კავშირში ორასი მილიონი მოსახლეა, რომლებსაც ყურადღებიდან არ გამორჩენიათ რუსული კომუნიზმის ახალი ევოლუცია და რომლებიც მწვავეთა გრძნობენ და განიცდიან, რომ არსებობს რაღაც, რომელიც მარქსისტულ-ნენინურ იდეოლოგიაზე მაღლა დგა,—და ეს რაღაც არის ერი და მისი სასიცოცხლო ინტერესები.

რამდენათაც მეტად გამოვლინდა რუსული ნაციონალიზმი, იმდენათ მეტად გაიპო საბჭოთა კავშირის მოსახლეობა და მისი ცალ-ცალკე ნაწილები მეტათ დაუპირდაპირდა ერთი-მეორეს. თუ კოზლოვის წყალობით ხრუშჩოვმა მოახერხა, დროებით მაინც, პარტიული კადრების ხელში დაჭერა, იგივე არ ითქმის მოსახლეობაზე.

საბჭოთა მასას უკვე ეტყობა გამოფხიზლება. საკმარისია გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის ისტორიაში არ ნახული დემონსტრაციები, რომელიც თანდათან ხშირდება და ძლიერდება; საკმარისია მხოლოდ აღვნიშნოთ როსტოვის ზონის შემთხვევა, როცა ახალი ეკონომიური შევიწროვების გამო ხალხი საპროტესტოთ ქუჩაში გამოვიდა, რათა მოსახლეობის სასოწარკვეთილობით აღძრული „უშიშროება" ნათელი გახდეს.

ისიც საყურადღებოა, რომ პროტესტანტების საწინააღმდეგოდ ხელისუფლებამ პოლიცია კი არ გამოიყენა, არამედ წითელი, ე. ი. რუსის ჯარი.

საბჭოთა კავშირში გაბატონებული ეკონომიური კრიზისი, განსაკუთრებით პირველი მოთხოვნილების საგნების და მედიკამენტების ნაკლულოვანება აძლიერებს ეროვნულ მოტივს და ამავე დროს მთელ მოსახლეობას კრემლის წინააღმდეგ აერთიანებს. ხრუშჩოვი სტალინის მსგავსად შეეცადა მოსახლეობის ყურადღების ცენტრი საგარეო პოლიტიკაზე გადაეტანა, მაგრამ ვერც ამან გადაჭრა შინაური უთანხმოების პრობლემა.

უკრაინაში და ყაზახისტანში,—რომელიც საბჭოთა კავშირის ბეღლათ ითვლება, ხორბლეულის შემოსავალმა ყოველგვარი იმედი გააცრუა. ხრუშჩოვის „გენიალური" გეგმა—ყამირი მიწების გატეხა, რომელმაც მილიონი ადამიანის ოფლი და სისხლი შეიწირა—სრულიად უშედეგო გამოდგა.

ამგვარმა სილატაკემ და შიმშილმა გააერთიანა საბჭოეთის მთელი მოსახლეობა და ამას თვით რუსული შოვინისტურ-იმპერიალისტური გამოვლინებაც ვეღარა შველის და სილატაკემ თვით რუსის მასაც აუმხედრა ნიკიტას.

მაშასადამე ხრუშჩოვი დგა შემდეგი დილემის წინაშე: პარტიაში იდეალისტ-კომუნისტების დაშოშმანება-დაკმაყოფილება, კოზლოვის მიერ შექმნილი პარტიული აპარატის ახალი მოხელეების მიერ ნაციონალისტურ, ბურჟუაზიულ-რელიგიური გამოვლინების შეწყნარება და მთელი დანარჩენი მოსახლეობის ეროვნულ-პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ჩვენის აზრით, საგარეო პოლიტიკაში—კუბას გამო გაბიაბრუებულმა ნიკიტამ პირი ხალხისაკენ იბრუნა და ნოემბრის 19-ს ცენტრალური კომიტეტისადმი მირთმეული სიტყვა მხოლოდ მასების დაშოშმანებას ემსახურება. სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას მისი შეთავაზება, რომ პარტიის ლიდერებმა შეისწავლონ და გადმოიღონ კაპიტალისტებისაგან, თუ როგორ უნდა აწყონ მიწის მეურნეობა და ინდუსტრიის წარმოება?

თუ ის აღსრულდა, რაც ჩვენ ლოგიკურად მიგვაჩნია, მაშინ რაღა რჩება ლენინურ-მარქსისტული ეკონომიური პოლიტიკიდან?

მაშასადამე ხრუშჩოვი გადადის ეროვნულ, თავისუფალი ინიციატივის პრინციპზე და 45 წლის ცდების და მრავალ მილიონ ადამიანთა სიცოცხლის შეწირვის შემდეგ, ხელში გვრჩება—მარქს-ლენინისაგან დაწუნებულ თავისუფალი ინიციატივის პრინციპის აღიარება და ეროვნული მისწრაფებებით გამსჭვალული რუსული იმპერია.

ამით დაიწყება საბჭოთა კავშირის არა რუს ერების ცხოვრებაში ახალი ეპოქა...ეპოქა არა კომუნისტური სამოსელით, არამედ ნიღაბ ახდილი რუსული იმპერიალიზმის წინაშე დაპყრობილი და განიარაღებული წარდგენის.

ამისათვის უნდა ემზადოს საბჭოეთის არა რუსი ერები და მისი ემიგრაცია, რათა მოულოდნელობამ არ შეაფერხოს მათი გარკვეული ეროვნულ-პოლიტიკური დენა.

ვ. სანგულია.

## კომუნიზმის რუსული გაგება.

სტალინს არა ჰქონდა ოპოზიციის მოვლისა და დაშოშმანების პრობლემა. არც საზოგადოებრივი აზრი აწუხებდა მას: რადგან საზოგადოება და მისი აზრის გამომხატველიც თითონ იყო. ვინც ამ გარემოებას არ ურიგდებოდა ის „ხალხის მტერი და მავნებელია" და ამ ურჩებისათვის სტალინს ერთი პასუხი ჰქონდა: ტყვია კეფაში.

ამ მდგომარეობის კარიკატურაშია წარმოდგენილი ხრუშჩოვიც. მან სტალინის მეთოდით, ე. ი. „ტყვია კეფაში"-თ, თავის კარიერის დასაწყისშივე მოსპო „ხალხის მტერი და მავნებელი" ბერია და მისი „ერთგულები", შემდეგ გაეხვია კრავის ქურქში და განაგვირგვინა „ხალხის მტერი და მავნებელი" სტალინი.

ამით დაიწყო რუსული იმპერიალიზმის ახალი ერა.

უმიზეზოთ ხომ არ მოახდენდა საბჭოთა რეჟიმი პეტრე დიდის და ეკატერინე მეორის რეაბლიტაციას? უმიზეზოთ არ გაიხსენებდა კრემლი სუვოროვებს და კუტუზოვებს! საბჭოთა ისტორიოგრაფია ამით უნდა გადაბმულიყო მონგოლური შეუბრალებლობით და მრისხანებით შექმნილ რუსულ ტრადიციას და ეს შეგნება და მისწრაფება უნდა გაეღრმავებინა „რევოლუციონურად" აღზრდილ თაობაშიც.

აქედან გამომდინარეობს კომუნისტური სამყაროს ერთიანობა, რომელსაც მიამიტმა დასავლეთელმა, შეცდომითა და უვიცობით, მსოფლიო კომუნიზმი უწოდა.

რუსული გაგებით კომუნისტური პარტია ერთია,—მთლიანი და განუყოფელი. პარტიის მეთაურობაც ერთია—ყველასათვის სავალდებულოდ მისაღები: ეს არის კრემლის ლიდერობა; მას უნდა ემორჩილებოდეს კომუნიზმის ყოველი დაჯგუფება.

არსებობენ კომუნისტური პარტიის სხვადასხვა ქვეყნების ფრაქციებიც.

კომუნისტური სამყაროს სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობები პარტიის მონა-მორჩილნი არიან. მთავრობა პარტიისაგან ღებულობს აღსასრულებლად საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის გეზს. ამ გაბატონებული წესის თანახმად,—რამდენათაც ყველა ქვეყნების კომუნისტური პარტიები ემორჩილებიან კრემლს, ხოლო პარტიას კი ადგილობრივი მთავრობები,—აშკარა ხდება ამ მთავრობების მონური ურთიერთობა რუსეთის მიმართ, და ისიც, რომ კომუნიზმი მოსკოვმა აქცია რუსული იმპერიალისტური მიზნების მისაღწევად შემამსუბუქებელ გზათ. თუ რუსეთმა მოახერხა და საბოლოოდ დასძლია ჩინურ ბუნებაში ტრადიციულად დაბუდებული იმპერიალიზმი და ისიც „გაიერთგულა", მაშინ ეს გადიქცევა უახლოეს გზათ ინდოეთისაკენ, რომელიც რუსულ იმპერიალიზმს აკვნიდანვე თვალსა სტაცებდა.

---

მამამთავარი და „მოურავი" ჩვენი ელჩი იყო. მინდა ამ ჟამად მხოლოდ ორიოდე ასეთი შემთხვევა გავიხსენო, რაც განსაკუთრებით ჩამრჩა გულში. მგონი 1922 წ. ძია ლადოს ეწვია და საელჩოს დარბაზში მშვენიერი მოხსენება წაიკითხა აკადემიკოსმა ნიკო მარმა.

ეს მოხსენება ისე დამეუფლა, რომ მის მომჯადოვებელ გავლენისაგან დიდ ხანს ვერ გავნთავისუფლდი. ჩვენი საამაყო მეცნიერი მშვენიერის, წარმტაცის ქართულით მოგვითხრობდა „ქართველი ქალის კულტზე ჩვენს ისტორიაში და ძველს მწერლობაში, კერძოდ „ვეფხის ტყაოსანში". ჩემი დიდი აღფრთოვანება ველარ დავფარე და ძია ლადოს გავუზიარე. მან, ამით აღელვებულმა, ხელი ჩამავლო, მიმიყვანა მცხოვან მეცნიერთან და ჩემი თავი გააცნო, როგორც ძველ ქართველ ქალთა თაყვანისმცემლისა: ჩემმა გაწითლებამ და დაბნევამ დიდი მეცნიერი ოდნავ არ შეაკრთო. მან ღიმილით და ტკბილის გამოხმაურებით ძია ლადოსთან ერთად გვერდით მომისვა და სიყვარულით და დაუზარებლად, კერძო საუბარით განაგრძო თავისი მომხიბლავი, ხატოვანი ამბები ქართველ ქალებზე.

მეორე შემთხვევა—იმავე დროიდან: საქართველოს მინისტრის, ნოე რამიშვილის და ელჩის, ვლ. ახმეტელის თაოსნობით ქართულ საელჩოში საზეიმო ვითარებაში გაოახდილ იქმნა სამგლოვიარო წლის თავი ინჟინერ ბარნაბ პაპავას გარდაცვალებიდან, რის გახსნისას, მათ ორთავემ მგრძნობიარე სიტყვები წარმოსთქვეს. ძია ლადოს განსაკუთრებით უყვარდა განსვენებული და ხშირად საათობით გვიყვებოდა მის ამბებს: თუ როგორ იმოგზაურის ერთად საქართველოს პირველ დელეგაციაში როცა ისინი მთავრობამ გერმანიაში წარმოგზავნა და რარიგ გაურთულდათ მგზავრობა და როგორ დაბრუნდნენ უკან. გვიამბობდა თუ როგორ მძიმედ იმოქმედა ბარნაბზე საქართველოს დაცემამ, როგორ ერთბაშად (სულ ორ კვირაში) გათეთრდა ის 42 წლის კაცი... როგორ მოდიოდა თურმე ყოველ დღე საელჩოში და იქ თავჩაღუნული, გამშრალი საათობით იჯდა, ვიდრე ლადო მუშაობას არ გაათავებდა და შემდეგ ერთად გამოვიდოდნენ. და სამი თვის შემდეგ ეს კაცი დარდმა გააქრო; ივნისში მოულოდნელად მას გული გაუსკდა... კიდევ რამდენი მღელვარე მოგონებები გვაკავშირებდნენ ჩვენს „ბრუკენ ალესთან" და მის „მამასახლისის", საქართველოს ელჩის დარბაზთან, რომლის თავზე კიდევ ფრიალებდა თავისუფალი საქართველოს დროშა. აქ ქართულ საელჩოს ირგვლივ ინასკვებოდა ჩვენი კულტურული საქმიანობა. მრავალი ცნობილი მოღვაწეები იყრიდნენ აქ თავს. ამიტომ ყველას მძიმე ლოდათ დააწვა ის ცნობა, რომ მინისტრმა რატენაუმ ელჩი ახმეტელი მიიწვია და გამოუცხადა: რუსეთთან ხელშეკრულების დადების გამო, საქართველოს საელჩო უნდა გაუქმდესო. თავზარდამცემი იყო ეს ცნობა, მაგრამ ჩვენს ელჩს ამით თავისი საქმიანობა არ შეუჩერებია და საქართველოს უფლებისათვის ბრძოლას მაინც განაგრძობდა იმ საშუალებით, რაც კიდევ დაშთენოდა.

ამის შემდეგ ჩვენი ოჯახიც დიდ ხანს აღარ დარჩენილა ბერლინში. ჰამბურგში გადავსახლდით.

მე არ მინდა ამ ჟამად ვლ. ახმეტელის პოლიტიკურ და დიპლომატიურ საქმიანობაზე ვრცლად შევჩერდე. ეს სხვათა საქმეა და იმედი გვაქვს ჩვენი ეროვნული მთავრობის და მისი ელჩების მუშაობას ემიგრაციის ხანიდან, პირუთვნელი ისტორიკოსები გამოარკვევენ და ისინი, ჩვენის აზრით, ბევრ რამეში მათ აღარ უსაყვედურებენ, უფრო ნათლად დაინახავენ და მხედველობაში მიიღებენ იმ რთულ და გახანგრძლივებულ ჭიდილს დიდ ძალთა, რის დროს საქართველოსათვის აღარავის სცხელოდა.

საკითხავია, შესძლებდა კი ვინმე სხვა ამ პირობებში უკეთ და მეტის გაკეთებას? მოვახსენებთ,—ამის გამორკვევა სხვათა საქმეა.

მე კი ამ ჟამათ მინდა აქ მხოლოდ მის ადამიანობას, ქართველობას და ჩვენი ყოველი ემიგრანტის ბედზე დაუღალავ ზრუნვას ორი სიტყვით შევეხო და მით ყველასათვის საყვარელი ძია ლადოს სახე სხვათაც დავანახო.

ეს კაცი მთელის თავისი ბუნებით არ იყო ემიგრანტი. ის ბოლომდე ორივ ფეხით მტკიცედ იდგა ქართულ მიწაზე და გადმოხვეწილობამ მას ფესვები ვერ გადუჭრა. მისი დაკვირვებანი, საგანთა თუ გარემოს ათვისება, ზნე, განსჯა და გეზი—ყოველივე ეს იქედან მოტანილი, ხალასი ქართული დარჩა. ქართულის მიდგომით, სიტყვით, თქმულებებით და ანდაზებით... თითქოს მას საყვარელ სამშობლოს და ყველაზე საყვარელ კახეთის გარეთ ჯერ არაფერი ენახა, თუმცა მეტი ნაწილი თავისი ცხოვრებისა მას ევროპაში გაეტარებინა.. ყოველი სიტყვა, ცნობა, წიგნი საქართველოზე მას უზომოდ იზიდავდა და ატყვევებდა. ჭეშმარიტად, იშვიათად შემხვედრია უცხოეთში ამგვარად წიგნის და ცოდნის მოყვარული ქართველი; თუმცა ამის გამოჩენის და გამოყენების წადილი მას ნაკლებად ჰქონდა.

***

რამდენი რამ ჩამრჩა გულში იმ ხანიდან... მაგონდება, რა აღფრთოვანებით და ნამდვილი ახალგაზრდულის ალტაცებით ჩამოვიდოდა ის ჩვენთან, ჰამბურგში. ყოველ დიდ დღესასწაულს და კერძოდ შობა-ახალწელიწადს და აღდგომას ის უეჭველად ჩვენთან მოეშურებოდა. ხალისით მიუჯდებოდა ჯერ კიდევ მწოლიარე „ყმაწვილებს" (ასე ეძახოდა ის ჩემს გოგოებს) ლოგინთან და მოჰყვებოდა საქართველოს ამბებს—უფრო მეტად კახეთისას. მერმეთ როგორის ხელოვნებით აღუწერდა იქაურ მინდორ-ველებს, მთა-გორაკებს, წყაროებს, ზვრებს, რთველს, გლეხკაცობას; მეზობლებს, მოჯამაგირეებს, მის შეგირდობას, ოჯახს, ლხინს და კიდევ რა ვიცი რას...და ბავშვები ფართო თვალებით უსმენდნენ ტკბილი ძია ლადოს შორეულ სამშობლოზე და მარტო იმის ეშინოდათ მათთვის არ დაგვეძახა: „გეყოფვათ, ადექითო"... ჭეშმარიტად მათ გულს არ ჰყოფნიდა ეს სიტკბო „საქართველოს სამოთხისა", ამ კაცს უხვად რომ ჰქონდა გულში ჩალაგებული და ეხლა ბერლინიდან აქ ჩამოეტანა... „კიდევ, კიდევ გვიამბე ძია ლადო", ევედრებოდნენ ბავშვები და ყელზე ეხვეოდნენ ამ მუდამ მომღიმარეს, მომხიბლავად და ჩათხრობით მოხითხითე ძია ლადოს... პატარები ხომ იმ იდუმალ ცრემლებს ამ „დიდ და სქელ" ძია ლადოს თვალებს უკან რომ დაგუბებულიყო, ვერ ამჩნევდნენ... ჯერ კიდევ გულუბრყვილო იყვნენ და ამის „ამოხსნა" არ შეეძლოთ.

სამაგიეროდ, ჩვენ ამ სევდას, დიდს და ახლობელს; მუდამ ვხედავდით, მასთან ერთად განვიცდიდით...

სალამოობით, ვახშმის შემდეგ, ბავშვებს რომ მოვასვენებდით, ის მუდამ გვთხოვდა—კიდევ დაგვეკრა გრამაფონზე ქართული ფირფიტები; ეს ფირფიტები მაშინ იშვიათი მოვლენა იყო, თითო-ოროლა თუ მოიძებნებოდა მთელ ბერლინის ემიგრაციაში. მე კი დედაჩემისგან თითქმის განუწყვეტლივ მომდიოდა და ამ მშობლიურ ჰანგებით სხვებსაც ვატკბობდი. კვლავ დავუკრავდით და ძია ლადოც, რომელსაც ისეთი იშვიათი სმენა და ტკბილი ხმა ჰქონდა, ჩუმის ღიღინით ხმასააყოლებდა და ამ დროს სახეს გვერდით მიიბრუ-

## კომუნიზმის რუსული გაგება.

(დასაწყისი იხ. მესამე გვერდზე).

დღეს საბჭოთა „კავშირის“ არტახებით შებოჭილი ერები მხოლოდ რუსეთის მიერ დაპყრობილი და დამონებულნი არიან. რომ კომუნიზმი, როგორც უნივერსალური სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური სისტემა უკვე მოისპო, ამას არა რუს ერების კომუნისტური ფრაქციებში ყველაზე ფანატიკოსებიც კი ნათლად ხედავენ და ამის შედეგია მათშიც ანტირუსული სულისკვეთების გაძლიერება. სტალინის დროს ყოველგვარი ეროვნული გამოვლინება რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებში, მონათლული იყო „ხალხის მტრობათ“ და ამ იდეის მატარებელნი განუკითხავად იელიტებოდნენ. ხრუშჩოვისათვის კი ყოველგვარი ეროვნული გამოვლინება სტალინელობაა და „სტალინელები“ სასტიკად იდევნებიან. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ჩინეთის და ალბანიის ოპოზიცია, ტიტოს განდგომა, პოლონეთის „მღელვარება, საქართველოს და უნგრეთის აჯანყებები და სხ...

კომუნისტური ბლოკის შინაგანი წინააღმდეგობის მთავარ მომენტს სწორედ ეროვნული საკითხი თამაშობს. გალაღებულ რუსის ერს კომუნისტური პარტიის განუყოფელობით სურს იბატონოს არა რუს ერებზე. მილოვან ჯილასი ამ მომენტს აქცევს ყურადღებას თავის მეორე წიგნში და ხაზს უსვავს, რომ „სტალინს არასოდეს არ უხსენებია საბჭოთა კავშირი და ყოველთვის ხმარობდა რუსეთსო“.

სტალინის განმგვირგვინებელი ხრუშჩოვიც ერთგულად აგრძელებს თავისი მასწავლებლის პოლიტიკას და ცდილობს მის მიერ შექმნილი იმპერიის საზღვრები უფრო გააფართოვოს ამ მონათმფლობელობის იმპერიის ლიდერები ანგარიშს არ უწევენ, რომ ჩვენი ეპოქის მოთხოვნილება დიდათ განსხვავდება გასულ საუკუნეთა მოთხოვნილებისაგან და დღეს მარქსისტული და სოციალური რევოლუციების ადგილი ახალმა რევოლუციურმა იდეამ დაიპყრო, რომელიც დაეუფლა კიდეც ადამიანის გონებას. ეს არის ეროვნულ-დამოუკიდებელი სახელმწიფოთა წარმოშობის იდეა. ჩვენი ეპოქის საფუძველია ეროვნულ სახელმწიფოთა იმგვარი საერთაშორისო თანამშრომლობა, რომ ერთმა (დიდმა) ვერ შებღალოს მეორის (პატარის) ეროვნული უფლებები და ვერ დაახშოს ეროვნული განვითარების პირობები. ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მომავალი ეკუთვნის არა ერთი ქვეყნის მიერ მსოფლიოს დაპყრობას, როგორც რუსეთს ჰგონია, არამედ თავისუფალ ერების და თავისუფალ ადამიანების ერთიმეორეში თავისუფალ თანამშრომლობას.

ცხადია, რუსეთი შორსა დგა ეპოქის მოთხოვნილებიდან და მას არც არავითარი სურვილი ეტყობა, რომ ის შეიმცნოს. პირიქით, ის დასამარებით ემუქრება თავისუფალ სამყაროს და სჯერა კიდეც, რომ თავის მიზანს მიაღწევს და მსოფლიო ბატონობა მას დარჩება.

ამ მხრივ ხრუშჩოვის დამხმარე-წამქეზებლის როლში გამოდიან ის დასავლეთელი „დიპლომატები“, რომლებმაც კრემლის ზედამხედველობით საბჭოთა კავშირი „მოიარეს“ და ხრუშჩოვის გალიბერალება დაადასტურეს.

რა პრაქტიკული მაგალითები მოგვცა ხრუშჩოვმა, რომ მან ხელი აიღო მსოფლიოში გაბატონების ცდაზე? გარდა მისი ხანგამოშვებით „მეგობრული თანაარსებობის და თანამშრომლობის“ განცხადების, რომელსაც მუდამ თანა სდევს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული წინააღმდეგობანი. „პრავდას“ იანვრის 17-ს ნომერში ვკითხულობთ: „მშვიდობიანი თანაარსებობა სრულებითაც არა ნიშნავს, რომ ხელს ვიღებთ, ან ვასუსტებთ კლასთა ბრძოლის პრინციპს“-ო. ამ საკითხზე უფრო ნათლად გამოთქვა აზრი სუსლოვმა, რომელიც ამ ჟამათ მეორე კაცია კრემლში. იანვრის 30-ს სოციალისტური მეცნიერების ინსტიტუტის დირექტორების და პროფესორების ყრილობაზე სუსლოვმა დააყენა საკითხი: „შეგვიძლიან დავიცვათ მშვიდობიანი თანაარსებობა იდეოლოგიურ სფეროში?“ და უპასუხებს: „რასაკვირველია არა. საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ხალხში კვლავ არსებობენ კაპიტალიზმის ნარჩომები. ისინი ქურდობენ, მექრთამეობენ, ხულიგნობენ, აბატონებენ ბიუროკრატიას და წინ აყენებენ რელიგიას. ჩვენი სოციალისტური იდეოლოგიის მშვიდობიანი თანაარსებობა ნუ თუ შესაძლებელია ამისთანებთან? ეს შეუძლებელია კომუნიზმის ინტერესების ღალატის გარეშე“-ო.

აქ ყველაფერი ნათლად არის თქმული. თეორიულადაც ადვილი წარმოსადგენია ცეცხლის და წყალის თანაარსებობა! პრაქტიკულათაც ხრუშჩოვმა ამის მაგალითები მილიონობით მოგვცა.

მაშ საიდან წარმოიშვა ხრუშჩოვის პოლიტიკის გალიბერალება?

ერთი მხრივ აქ დიდ როლსა თამაშობს რუსეთის— თვით კომუნსტურისაც —ისტორიის და მისი თანდათანი ევოლუციის უცოდინარობა. მეორე მხრივ კი უვიცთა შორის ყველაზე „გაბედულის“ წინასწარმეტყველური მადაამლილობა და ამაზე დაშენებული „ბრწყინვალე კარიერა“. მესამე და მთავარი კი შიშია,—შიში მოსალოდნელი ომის, რომელმაც თითქოს უნდა შთანთქას მთელი მსოფლიო და რომლიდანაც გამარჯვებული არავინ გამოვა!

თითქმის ყველამ იცის თუ რა არის ომი და ომს თითქმის ყველა ერთნაირად განმარტავს. სულ სხვა არის მშვიდობა, ანუ მშვიდობიანობა. ამის შესახებ ათასნაირი განმარტებაა შესაძლებელი და მშვიდობა ყველას სხვადასხვანაირად ესმის. დღევანდელ სულიერათ და ფსიქოლოგიურათ აფორიაქებულ მსოფლიოში, მშვიდობა გადაიქცა ომის საწინააღმდეგო მცნებათ და აქედან გამორიცხულია ყოველი სულიერი და ფსიქოლოგიური მომენტები, რომელსაც მშვიდობა,—დამოუკიდებლად საომარ, თუ საზავო მდგომარეობისა—შეიცავს. ტექნიკის უაღრესმა განვითარებამ იმდენათ შეავიწროვა ადამიანის სულიერ ზნეობრივი სარბიელი, რომ ეს თითქმის დღეს მხედველობიდან სავსებით გამორიცხულია. სულიერათ და ზნეობრივად დაუკმაყოფილებელი ადამიანი შინაგანი მღელვარებით არის მოცული და მისი ახსნაც ტექნიკის სფეროში გადააქვს. ამიტომ არის, რომ საყოველთაო მობლიზაციით, შეიარაღებული ძალების გამრავლებით ცდილობენ მშვიდობიანობის დაცვას და თვით ამ ცნებამაც მიიღო ვიწრო, ომის საწინააღმდეგო შინაარსი. ამიტომ არის, რომ ერთი ომის მომგები ქვეყანა, ან კოალიცია, გამოდის ხოლმე მშვიდობის გარანტად, მაგრამ ეს გარანტიაც ძალაზეა დაამყარებული და ზარბაზნები იცავენ მშვიდობას, ე. ი. სინამდვილეში საომარი მოქმედების შეწყვეტის პერიოდს, რომელსაც კაცობრიობა შალაუნიბურად მშვიდობას ეძახის. შორეული თუ ახლო წარსულის ისტორია გვასწავლის, რომ ზარბაზნებზე დამყარებული მშვიდობა აბატონებს მონობას და მუდმივი ახალი ომის მოლოდინის ფსიქოზი ქანცავს ადამიანის სულს და გონებას. მაშასადამე აქედან გამორიცხულია სულიერ-ფსიქოლოგიური სიწყნარე, გონებრივი სიმშვიდე და ამ სულიერ აფორიაქებაში არც შეიძლება ვეძებოთ სამართლიანობა, ერისა თუ პიროვნების ღირსების დაცვა და უშიშარი ცხოვრება.

სწორედ ამგვარი სულიერ-ფსიქოლოგიური აფორიაქებაა წყარო ყოველი დემაგოგიური რეჟიმის გახანგრძლივების და ბატონობის.

გასაგებია, როდესაც ამას ხრუშჩოვი თავისი დემაგოგიური „თანაარსებობით“ ხელს უწყობს და ახანგრძლივებს, მაგრამ გაუგებარია დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების ამ დემაგოგიაზე წამოგება და მისი თან მიყოლა!

ი. მენთეშაშვილი.

***

შენ გაგიმარჯოს ჩემო სამშობლო,
ჩვენი სიცოცხლე შენი ხარჯია:
შენ გაგიმარჯოს უფრო უმეტეს,
ვიდრე ოდესმე გაგიმარჯვია!

გ. ლეონიძე.

## სოცშეჯიბრება სასაფლაოზე.

—თქვენ წამგლეჯაობას ეწევით და ხელს უშლით სოციალიზმის დაგვირგვინებას საქართველოში...მუშებს აგულიანებთ ჩვენს წინააღმდეგ!— ასე მიმართა ბიუროში გამოძახებულ კირილე სალაყაიას ზღვისპირეთის ქალაქის პარტკომის მდივანმა ლამბაროვმა.

ამის თქმაზე დაიბნა ქალაქის პროფესიული კავშირების საბჭოს თავმჯდომარე კირილე სალაყაია და დაიბნა იმიტომ, რომ ძალით დააბნიეს ალალმართალი კაცი; თორემ ასეთ უმნიშვნელო არსებას როგორ შეეძლო მუშები აემხედრებია ყოვლად შემძლე ქალაქკომის წინააღმდეგ.

დაიბნა კირილე სალაყაია და ეს დაბნეულობა აღიბეჭდა მის შიშისაგან ანამკრთალ სახეზე. აბა ნუ შეგეშინდება თუ გერჩიოს... ქალაქკომის მდივანი ხომ ღმერთია ქალაქში.

ვინ იყო კირილე სალაყაია ასეთი, რომ სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობას ხელს უშლიდა საქართველოში? იგი იყო სრულიად უბრალო კაცი. იმ დროს როცა საქართველო თავისი გზით ვიდოდა, მაშინ საკუთარი პატარა ელექტროსადგური ჰქონდა; ამ სადგურის სინათლე დაწესებულებებს არ ჰყოფნიდა, მის მახლობლად მდგარ თეატრის სცენას ძლივს ანათებდა და რომ სავსებით არ ჩამქრალიყო, რეზერვში თეატრის მუშაკებს ნავთის დიდი ლამპები ჰქონდათ მომარჯვებული.

ასეთი იყო კოლხელი „კაპიტალისტი“ კირილე სალაყაია, და როცა ჩვენს ქვეყანას ძალით მოარგეს წითელი კაბა; სოციალიზმმა კირილე სალაყაიას სადგურიც გაასაბჭოვა და სოციალიზმის საკუთრებად აქცია. სწორეთ ამგვარ სოციალიზმს ვერ ეგუებოდა კირილე სალაყაია.

თავის ელექტროსადგურის შუქს მაშინ კირილე სალაყაია ამომავალი მზის ამოსვლასავით შეჰხაროდა და შეტრფოდა, შეჰხაროდა და სიყვარულით როკავდა. ეხლა საროკავი წაართვეს, მის შუქს ღრუბელი გადაეფარა და სალაყაიამ ითხოვა უბრალო მუშად მაინც დაეტოვებიათ მის ნასადგურალში, მაგრამ მკაცრი გამოდგა მუშათა კლასი და უარი უთხრეს; უარი უთხრეს და თავიდან მოიშორეს.

მაგრამ კირილე მაინც არ შორდებოდა თავის სადგურს თუ ნასადგურალს და კვირაში ერთხელ მიდიოდა იქ; შიგ არ შეუშვებდნენ რომ მოენდომებია მაინც, მაგრამ გარეთ უვლიდა მოჩვენებასავით; ათვალიერებდა შორიდან, ამით გამოწვეულ დაკოდილ გულიდან ქშინვა და ოხვრა აღმოხდებოდა ხოლმე.

ბოლოს მაინც ყველაფერი თავისი გზით წავიდა. სოციალიზმი სავსებით დაეპატრონა კირილეს ნასადგურალს, და კირილე ახლოსაც არ გაიკარა, არც კირილე გაჰკარებია თავის ნასადგურალს და უბრალო მუშად თავი ამო-

ნებდა, რათა მორეული ცრემლები არ შეგვემჩნია და ასე გრძელდებოდა შუაღამემდის. მაგრამ მისთვის ესეც არ კმაროდა და დილით, სულ ადრე, ჩუმად წამოდგებოდა, თავის ოთახიდან შეუმჩნევლად გამოვიდოდა სასადილოში, მიუჯდებოდა გრამაფონს და დააყენებდა დაბალ ხმაზე, (ჩვენ რომ არ გაველვიძებინეთ) და უკრავდა და უკრავდა კახურ „მრავალ ჟამიერს„ „ურმულს“... ჩვენ შორიდან მორიდებით ვხედავდით მისი განიერი ბეჭების თრთოლვას და ვგრძნობდით, რომ ის ჩუმად ჰყრიდა ცრემლებს... და ასე სისხამ დილას შეუდგებოდა დიდ გლოვას საქართველოს ბედნიერების დაკარგვის გამო... მერე ჩაჯდებოდა ჩვენს ბიბლიოტეკაში და კითხულობდა ბევრს და განმეორებით ილიას. თითქმის ზეპირად იცოდა ილიას ლექსებიც და პროზაც; რა მადიანად მოჰყვებოდა ზეპირად ათას ადგილს „კაცია ადამიანი“-დან, „გლახის ნაამბობი“-დან, „ოთარაანთ ქვრივი“-დან და სხვა. განსაკუთრებით უყვარდა „ციტატების“ და ანდაზების მოყვანა „ქვათა ღაღადიდან“, ეხლაც წინ მიდგას მისი სახე, როგორის გრძნობით გაშლიდა ილიას სიტყვებს „ქვათა ღაღადიდან“ და გულის ტკივილით ამოიძახებდა: „ფრთა-გაცვეთილ, გაქუცულ, უხეირო კრუხ ქათამივით წიწილებსა სჩეკენ არწივის ნაბუდარზედაო“... „არა ეს არ მოხდება, ეს არ იქმნების!“ ვამხნევებდით საყვარელ სტუმარს. „გაიხსენე ძია ლადო, იმავ დიდი ილიას სიტყვები „ქვათა ღაღადიდან“: „ჯერ სამაგისოთ ღვთის მადლით არა გაგვჭირებია რა; გული იმოდენად კიდევ შეგვრჩენია, იმოდენად კიდევ გვერჩის, რომ ჩვენს ვინაობას ვუპატრონოთ და ქართველობის სახელი სალანძღავსათრევად არ დავანებოთ არავის“... მაგრამ მას, მის გულს ეს ნუგეში ვერ უსალმუნებდა... მისი თვალები ილიას ამ მხნე მოძახილს იქეთაც სევდიანი რჩებოდნენ, თითქოს უნდა ეთქვათ: „დღეს მტერი სულ სხვაა, დიდი, უხეში და განუკითხავიო“. და ის ათრთოლებული ხმით ეხლა ვახ. ორბელიანის „კახეთი“-დან ამოიკვნესდა:

**„აღარ მეღირსა მჩვენიერო ჩემო კახეთო, რომ გომბორის მთით შენს მშვენებას კვლავ გადმოვხედო“...**

ასე მიდიოდა დღეები მისი სტუმრობისა და ახლოვდებოდა დრო ჩვენის განშორებისა. ყველანი მწუხარებით ვაცილებდით მას სადგურზე და ისიც წასვლის დროს ნუგეშს არ გვაკლებდა: „წარღვნაც რომ იყოს, სააღდგომოთ მაინც ჩამოვალ და მაშინ უფრო დიდ ხანს დავყოფ თქვენთანო... ეხლა კი ნუღარ დამაკავებთ, ბერლინში მელოდებიან—ათასი რამ მისახედავია, საპატრონო... მართალია დიდს ვერას ვაკეთებ, დიდებთან ხომ გზა მოგვიჭრეს მაგრამ ამ მილეთ ხალხსაც ხომ მიხედვა სჭირია“...

მართლაც, ამ მხრივაც დაუზარებელი იყო ჩვენი ყოფილი ელჩი. მართალია მას დაწესებულებებში, ოფიციალურად, როგორც ელჩს უკვე ვერ მიისვლიდა, მაგრამ ზოგი ძველი მოხელენი მას მაინც ტკბილად იღებდნენ... იცოდნენ თუ რა უკულმართობით დღეს ის უკვე აღარ იყო საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი და ბერლინის ბრუკენდა მისთვის ან დახმარებას, ან შუამდგომლობას და მოწმობას გამოსთხოვდა.

მაგრამ ამ ტკივილების შემდეგაც ის ხან ამ კარებიდან, ხან იმ კარებიდან მაინც შევიდოდა დაწესებულებაში და ძველ, ნაცნობ მოხელეს რომელიმე ქართულ გაჭირვებაზე, ან ქართველი ემიგრანტის ტკივილზე მოუთხრობდა და მისთვის ან დახმარებას, ან შუამდგომლობას და მოწმობას გამოსთხოვდა.

რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ ის მწოლარე წამოუყენებიათ (მას ხშირად აწუხებდა ღვიძლის შეტევები) ამა თუ იმ დაწესებულებაში გაუგზავნიათ და ჩვენი ძია ლადოც, დაუზარებლად წამოდგებოდა, ცხელი წყლიან ბალიშით ხელში, ტრამვაიში ჯდებოდა და საშუამდგომლოდ მიდიოდა. ამავე დროს საკუთარ ათას გაჭირვებას, ავადმყოფობას და მწუხარებას ჩუმად იტანდა და სხვებს გულს უკეთებდა, გარედან მაინც არას იმჩნევდა და ძველებურად, სწორად და გამართულად დადიოდა თავისი მძიმე და ამაყი ნაბიჯით, ვით შეშვენოდა ყოფილ ელჩს, დღეს უფლება აყრილს, მაგრამ მაინც სწორი საქმისათვის ამაყად მდგომ, საქართველოსას. ბოლო წლებში, როცა თმები გაუთეთრდა და სახეს მეტი ნაოჭები დაეტყო, ის ხშირად დაიხედავდა დამჭკნარ ხელებზე და ჩუმათ, ნაღვლიანად ამოიოხრებდა... მე კარგად ვხედავდი, მის მწარე ფიქრებს და იდუმალ შიშს უცხოეთში აღსასრულისას.

—„აა, ძია ლადო!“ ვეტყოდი გახუმრებით. „არ დავიბერდე... მხნედ იდექ“ მეთქი ის თვალ ნამიანი ხელს ჩაიქნევდა და ერთხელ კვლავ გამაგონებდა ნაცნობ დარდს ისაკ ვ. ორბელიანის სიტყვებით: „ნუ-თუ ჩავიდე ის სასაფლავს და დავიმარხო, ჩემო კახეთო, მშვენიერო, რომ ველარ გნახო?“ —„ნუ, ნუ ძია ლადო“, მივუგებდი ნუგეშით, „კიდეც რომ შეგვემთხვეს რამე იცოდე, რომ ჩვენ აქ არ დაგტოვებთ რაც უნდა მოხდის, მაინც წაგიძოვებით და შენს ნეშტს შენი კახეთის მადლიან მიწას მივაბარებთ... და მე ვატყობდი, რომ ამ ჩემი დაპირების სჯეროდა და მას ეს ამშვიდებდა, ახარებდა კიდეც.. მერე ჩუმად ყურში მეტყოდა: „ხომ იცი შენ უნდა დამმარხო, და შენი პირობა“... გაიცინებდა და აღარ დაამთავრებდა.

რამდენმა წლებმა განვლეს, მაგრამ ეხლაც ყურში გარკვევით მესმის შენი ფრთხილი მხილება: შორეულ ბერლინის სასაფლაოდან. ჩემო ძვირფასო მეგობარო, გმინვით დღესაც ამომძახებ: „თამარ, აღთქმა არ დაგავიწყდეს“

ოლონდაც! ჩემო ძია ლადო, მე ის არ დამვიწყებია და მგონი მეორე მძიმე ლოდათ თან ჩავიტანო...

მაგრამ აბა რა ვქნა? რით გიშველო, რით დაგამშვიდო? შენ ვერ ხედავ რა ხდება ირგვლივ და უკვე რა მანძილით დაგვაშორეს ამა ქვეყნისა გაგიჟებამ... სად ბუენოს-აირესი და სად ბერლინი? და მერე ის შენი საყვარელი ბერლინი რას დაემსგავსა... რა საშინლად განიავდა შენი სადგომი, შენი პატარა „ავლადიდება“, რაც სამშობლოდან მოგეტანა და ასე გიყვარდა. როგორ წალეკა ქარიშხალმა ბერლინის ქართველობა, რომლის ჭირისუფალი მუდამ შენ იყავ. იქ დღეს აღარავინაა და ის შენი დარბაზები, სადაც საქართველოზე ფიქრები და სიტყვები გიფრქვევია, დროშაზე ფიცი ჩამოგირთმევია. დღეს გამქრალია, სრულიად აღგვილია და ჩვენს შორისაც საშინელი კედელი ამართულა... და შენს ახლობელს, გულით რომ სწადდეს, მაინც არ შეუძლია შენი საფლავი ინახულოს და ქართული „გამარჯვება, ძია ლადო“ გითხრას.

და აი, მეც ბოდიშს ვიხდი; გთხოვ პატიებას, რომ ჩემი დაპირება ვერ შევასრულე... მაგრამ შენი სათაყვანო განა დაიკარგება ქართველობას არა! შენ ეს იმედი უნდა მტკიცედ ატარო მაგ თითქოს მიტოვებულ საფლავშიც. გთხოვ არ ჩააქრო რწმენა, რომ ქართველი ერი თავის ელჩს დაივიწყებს არ მისცემს: ის „მიტოვებული“ არ დარჩება...

თამარ პაპავა.

## სოცშეჯიბრება სასაფლაოზე.

(დასაწყისი იხ. მეოთხე გვერდზე).

ჰყო ნავთსადგურში.

კირილე სალაყაია პირიანი კაცი იყო. შრომა უყვარდა და მისი სულიც ამით ტრფოდა, შრომაში ალამებდა, შრომით ზეიმობდა, თუმცა ამ შრომიდან ბედნიერებას არ ჰხედავდა. მაგრამ მშრომელი იყო და შრომობდა.

ერთ დღეს ყველაფერი მიივიწყეს, კირილეს „კაპიტალისტობა“ არავის არ გახსენებია, არც მას შეუხსენებია არავინ და ლენინის გარდაცვალების წლის თავზე კირილე სალაყაიას ლენინის პარტიაში შესვლა შესთავაზეს. უარს ხომ ვერ ეტყოდა „ნაკაპიტალისტარი“ კირილე ძლევა მოსილ პარტიას და გააპარტიულეს ჩვენი კირილე სალაყაია. ამის შემდეგ მას როგორც მუშათა რიგებში აღზრდილს, მუშათა კლასის აღზრდა დააკისრეს და ქალაქის პროფესიული კავშირების საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს თუ დანიშნეს.

მაგრამ აქაც ბედმა არ გაუღიმა კირილე საწვრილბურჟუაზიულმა გადამხრელობამ დასლაყაიას.—„ვერ გაართვა თავი სოციალიზმს, ძლია და გაირიცხოს პარტიიდანო“. დაადგინა ქალაქკომმა.

საწყალი კირილე სალაყაია, არც მარცხნივ იყო გადახრილი, არც მარჯვნივ, არც ბურჟუაზიისაკენ, მაგრამ რადგან გადახრილად აღიარეს გადახრილი ყოფილა, და გადახრას აპატივბდნენ? გასწირეს კირილე სალაყაია და შინსახკომს მიუგდეს დასაკორტნავად.

სამი თვე იჯდა კირილე სალაყაია ჩეკის სარდაფში და არ იცოდა თუ რისთვის იჯდა... იჯდა კი, რადგან იჯდა უნდა მჯდარიყო.

ჰოდა, ვერას გზით ვერ გაარკვიეს კირილეს საქმე. ბოლოს კირილეს საბედნიეროდ შინსახკომის რწმუნებულს არამ სტეპანიანს რაღაც გადახრა დაბრალდა და ახალმა რწმუნებულმა სანამ ისიც ჯერ კიდევ არ იყო გადახრილი, გადამხრელი კირილე სალაყაია გაათავისუფლა, როგორც სტეფანიანის მსხვერპლი.

კირილეს ამის შემდეგ დიდ ხანს არ უცხოვრია. აბა ამ წუთი სოფელს სხვა ვინ შერჩენია საუკუნოდ, რომ კირილე სალაყაია შერჩენოდა და ერთდღეს სამუდამოდ აიბარგა აქედან. ამით გამოწვეულ ბედნიერებას მის უფერულ სახეზე ანამკრთალი ღიმილი ამბობდა: მოვისვენე სოციალიზმისაგან, გახრისაგან, გეგმისაგან... მაგრამ ნათქვამია „უბედურ კაცსაო ქვა აღმართშიო“, —ბედმა არც სიკვდილშიაც გაუღიმა კირილე სალაყაიას. ვერ დათრგუნა უბედური ბედი. საქმე შემდეგნაირათ დატრიალდა: კირილე სალაყაიას დასაფლავება თავს იდვა ქალაქის პირველმა დამკრძალავმა ბიურომ, რომელიც სოცშეჯიბრებაში იყო მეორე დამკრძალავ ბიუროსთან.

კირილე მანქანით წაასვენეს, ნათესავებიც და შინაურებიც მოგროვდნენ სასაფლაოზე. უკანასკნელ გასაცილებელ ადგილზე პატივი უნდა სცენ კირილეს. გაბედულებს სასაფლაოზე ნახუცარი წვერცამეტა ონოფრე გადელია მოეყვანათ წყალგალმიდან. ონოფრეს ჯერ კიდევ შერჩენოდა თხელი წვერი გამხდარ ყბაზედ. ონოფრე წესის ასაგებად მორთულ-მოსულიყო, კისერზე ჯვარი მორიდებულად ჩამოეკიდა, გაცრეცილი ანაფორა, რომელიც არა იყო რა; ისეგაცრეცოდა, რომ კოჭებამდე ძლივს უწევდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა ჩვენი ნახუცარი და საცეცხლური მომარჯვებული იდგა, ირგვლივ საკმეველის სუნი დიოდა. ის იყო ონოფრეს უნდა დაეწყო მიცვალებულისათვის წესის აგება, რომ დაიწყო უჩვეულო ამბავი. ახლად გათხრილ საფლავზე სხვა მიცვალებული მოესვენებიათ და შეიქნა ცილობა. თურმე დამკრძალავ ბიუროს ერთი და იგივე დასაკრძალავი ორდერი გაუცია ორჯერ და ამაზედ ჰქონდათ ცილობა.

ჩვენი ხალხი ფიცხია, თუ დრომ უფრო გააფიცხა იგი, თორემ უწინ სასაფლაოზე წევა და გლეჯა კი არა სათნოება და მშვიდობა სუფევდა. დაკრძალვას წინად ეკლესია განაგებდა, უდავიდარაბოდ და გალობით ხდებოდა მიცვალებულის მიწისათვის მიბარება, ეხლა კი?

—აქეთ არ წამეიწიო თვარა, გაგათავე იცოდე!—

შესძახა გერა თოდუამ და კირილე სალაყაიას კუბოს ხელი წაავლო აკლდამაში ჩასასვენებლად.

—„ქალის მანდილი დამხურე თავზე თუ შენი შემეშინდეს“—შესძახა მარღანიამ და გერა თოდუას მაგარი სილა აჭამა, ესეც არ აკმარა და ყანყრატოში ხელი სტაცა. ამთავად მოჩხუბრებმა მიცვალებულს ხელი უშვეს, და მომხდურმა და დამხდურმა ერთმანეთი ლაზათიანად მიბეგვეს.

იქვე შემთხვევით მყოფმა დამკრძალავი ბიუროს თანამშრომელმა, ამასობაში ახალი ორდერი ამოსწერა და უბინაო მიცვალებული, კირილემდე რომ მოასვენეს, სადღაც წაასვენეს, და ვილაცის საფლავში ჩაასვენეს, მკვდარი მკვდარს დაასვენეს. შევიწროვდნენ მკვდრები, მაგრამ ეს მონაგონია იმ სასწაულთან, რაც მაშინ მოხდა იქ. ის იყო გერა თოდუას უნდა წაევლო ხელი კირილე სალაყაიას კუბოსათვის, მაგრამ დახეთ! კირილე სალაყაია კუბოდან ამოსულიყო და განზე იწევდა.

—ბოლოს და ბოლოს ქვა კი არ მიდევს გულში კაცო!... ამხანაგს ვერ შეეცილები...არამი ლუკმა კაცს არ შეერგება. ბავშობიდანვე მეზარებოდა ნაარმი!—სთქვა მშვიდად კირილე სალაყაიამ და ახლად გათხრილ საფლავის თავზე ჩამოჯდა, ვილაცას ხელიდან გაზეთი აართვა, გაზეთის ერთი ყური მოხია, ხელში მოსრისა, დაარბილა და შიგ თუთუნი გაახვია და წევას შეუდგა. ამის დანახვაზე ზოგი ქუდმოგლეჯილი გარბოდა, ზოგიც შორიდან შესცქეროდა სასწაულს შიშნაჭამი. ღვთის მორწმუნენი კი ხელაპყრობილნი ევედრებოდნენ მაღალ ღმერთს და შველას თხოვდნენ. ონოფრეც სადღაც გამქრალიყო ვით მოჩვენება კირილე სალაყაიას ვაჟი, ვილენი თუ „ვლადიმირ ილიჩ“ სალაყაია, როგორც მას დაარქვეს კომუნისტურ ნათლობისას—ოქმის შედგენას შეუდგა მამის წინაალმდეგ.

—ნუ ფილოსოფოსობ მოდი ჩაწექი საფლავში...საგანგებოდ შენთვის გავთხარე, არავინ შეგეცილება!—

სთქვა გერა თოდუამ და ხელი მოკიდა კირილე სალაყაიას.

მაგრამ კირილე გაჯიუტდა. შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი...

არა და არა, არ ჩავალ საფლავშიო!

გერამ კვლავ მიმართა მორიდებულად:

—შეაფურთხე ეშმაკს... ჩაწექი საფლავში... შენც მოისვენე და მეც მომასვენე!—უთხრა გერამ, მაგრამ კირილე სალაყაია უფრო გაჯიუტდა და ფეხი არ მოიცვალა ადგილიდან.

—ქარბორიოს წაუღია შენი გასაწყალებელი თავი!—

შესძახა გერა თოდუამ, მაგრად წაავლო ხელი კირილეს და საფლავში ძალით ჩაითრია.

ერთხანს წინაალმდეგობა გაუწია მიცვალებულმა და როცა არა გაუვიდა რა, არც ვედრება, არც ღმერთი არც ხატი... გაიფიქრა: „ეჰ, ჩათრევას ჩაჰყოლა სჯობიაო“ და შიგ ჩაიკეცა. გერამ არ დააყოვნა და კირილე სალაყაიას მიწა უმალ დააყარა, დატკეპნა, მაგრამ მიწა მაინც ინძრეოდა... თითქოს კირილეს ნაცვლად საფლავში თხუნელა ჰყოფილიყოს ჩასვენებული... ფხვიერ მიწას ზევით ისროდა, კუთხით კუთხავდა...

ცხადია შფოთავდა კირილეს სული სხვის საფლავში.

გერა თოდუამ ერთხელ კიდევ დასტკეპნა მაგრამ მიწა უფრო გაფხვიერდა და თვალებში შეეყარა გერა თოდუას. კირილეს საფლავი არ ისვენებდა... წოწოლასავით ზევით ისვროდა ფხვიერ მიწას და წრეხაზს ავლებდა სასწაულით. გერამ მარტო მიწის დაყრა არ აკმარა და ერთი მაგრად დედა გადაუტრიალა კირილეს.

—ქვეყნის ყბაში უნდა ჩამაგდოს ამ შობელ ძაღლმა?—სთქვა გერამ. კვლავ მიჰყო ხელი საფლავის პირის გასწორებას, მაგრამ ვერას გზით ვერ გაუსწორა პირი. ამ თავად მილიციელს მიმართა საგუშაგოზე საშველად.

—მომეშვი თუ კაცი ხარ...სხვის საქმეში ნუ გამრევ, დამაყენე ჩემთვის! —სთქვა მილიციელმა.

—რას მიქვია თუ კაცი ხარ დამაყენე ჩემთვისო! საბჭოთა მილიციონერი არ ხარ? მიჭირს და მომეშველე!—მიუგო გერამ.

—მომეშვი თუ კაცი —ხარ!მიუგო მილიციელმა.

—რას მიშვრები კაცო! ქანცი გამიწყდა შენი ხვეწნით... დაბმული ხომ არა ხარ ერთ ადგილზე!—

შეჰყვირა გერა თოდუამ.

—ნაბრძანებია საგუშაგოდან ფეხი არ მოვიცვალო!...

გაჯიუტდა მილიციელი.

—ო რა ვქნა აბა?—

—გითხარი და ესაა, ფეხს არ მევიცვლი აქედან!—

სთქვა მილიციელმა, შემდეგ უდარდელად გაიარ-გამოიარა, გამხმარ მზესუმზირას მარცვლებით პირი გამოივსო და წისქვილის ქვასავით შეუდგა ფქვას, და ნარჩენს პირიდან გარედ ჰყრიდა.

ცოტახნის შემდეგ, მორჩა თუ არა მზესუმზირას მარცვლის ფქვას, გერას მიუბრუნდა და უთხრა:

—თუ გინდა მეიყვანე ის კვტარი ჩემთან და გაგაშველებთ!—

სთქვა მილიციელმა და კვლავინდებურად ფშტენა დაიწყო; და რადგან საფქავი გამოელია, კბილებში გაცურებულ ნარჩენებს დაუწყო ცოხნა.

ერთმანეთისა ვერა გაიგეს რა და გერა თოდუა უკან გაბრუნდა, უკან გაბრუნდა და რაღაც ხმამაღლა შეჰყვირა საგუშაგოზე მდგომ მილიციელს.

—დამემუქრე თვარა, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა!—

სთქვა მილიციელმა და კვლავინდებურად ფშვტვენა განაგრძო.

კირილე მაინც არ ისვენებდა საფლავში, რაღაც უხილავი ძალით სთხრიდა მიწას და ნათხარი სამკუთხედად ეფინებოდა საფლავზე.

გერა თოდუა ამან უფრო გააცვიფრა... ქეჩო მოიფხანა, ზეცას მხსნელად შეხედა და უღმერთოთა კავშირის წევრმა პირჯვარი სამჯერ გადაიწერა.

—დალახვროს ქვეყნის შემომქმედმა მაგის გაჩენის დღე!—

სთქვა გაოცებით გერამ და ჭაპანწყვეტით მოშორდა საფლავს.

გვიან საღამოს მილიციის თანამშრომლები გამოჩნდნენ სასაფლაოზე. კირილე სალაყაია ამოათხრევინეს ნიჩბებით და იქვე მოშორებით ლობის ძირში, ახალი საფლავი ხელდახელ ამოთხარეს და კირილე სალაყაია შიგ ჩაასვენეს.

მოისვენა კირილე სალაყაიამ: საფლავში ჩასვლისას ტკბილი მეგრული „სისოული ბატა“ წამოიწყო და ახლად გათხრილ საფლავში ჩაწვა.

სარ უყვარდა კირილეს ნაარმი და თავისი გაიტანა.

**მინდია ლაშაური.**

## ლეო დუმბაძე.

(1901—1962)

„ჰხამს მოყვასი მოყვასისთვის,
„თავი ჭირსა არ დამრიდათ
„გული მისცეს გულისათვის,
„სიყვარული გზათ და ხიდათ“.

**შოთა.**

იშვიათია ადამიანი, რომელსაც ისე ზედ მიწევნით უდგებოდეს უკვდავი მგოსნის სიტყვები, როგორც განსვენებულ ლეოს. მისი უპირველესი და ნიშანდობლივი თვისება იყო მეგობრისთვის „თავი ჭირსა“ არ მორიდება. მისი კეთილშობილური გული სავსე იყო თბილი გრძნობებით და ჭეშმარიტად, მას მეგობრებთან ურთიერთობაში ჰქონდა „სიყვარული გზათ და ხიდათ“.

განსვენებულს ხშირად უოხუნჯია „დანამდვილებით არ ვიცი როდის დავიბადეო“. ჩვენ კი, მისმა მეგობრებმა, კარგათ ვიცოდით, რომ ლეო დუმბაძე სწორედ მაშინ დაიბადა, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შედეგათ მრავლათ დარჩნენ ქართველები ევროპაში უსახლკაროთ და უპატრონოთ გაბნეულები. მაშინ ლეო დუმბაძემ მგლის მუხლი გამოიბა; უცნობი და ნაცნობი ყველა შეაწუხა, ყველა დაწესებულების კარები შეაღო და თავის თანამემამულეების თავგამოდებულ მოსარჩლედ გამოვიდა.

ომის შემდეგ შეერთებულ შტატებში შემოსულ ქართველებ შორის იშვიათად მოიძებნება, რომლის ან აქ მოყვანაში და ან აქ დაბინავებაში ლეოს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს.

მას ერთნაირად უყვარდა ყველა ქართველი და დაუზარებელი მსახური იყო ყველასი.

ბავშობიდან უცხოეთში აღზრდილს ჭარბათ აღმოაჩნდა გულის სიღრმეში შემონახული ქართული ლაზათი და სამშობლოს უაღრესი სიყვარული.

განსვენებული უცნაურის სისწრაფით გადახალისდა... ათეული წლების მანძილზე ფერფლ წაყრილ მამულიშვილურმა გრძნობამ მძლავრად იფეთქა და ქართული ეროვნული საქმის მაღალი და სანიმუშო ენტუზიასტი შეიქმნა. მართლაც, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი ქართული ეროვნული გამოვლინება შეერთებულ შტატებში, რომელიც ან ლეოს თაოსნობით, ან მისი აქტიური მონაწილეობით არ მომხდარიყოს. უკრაინული „სვობოდა“ თავის აგვისტოს 11-ის ნომერში სამართლიანად აღნიშნავს: „დუმბაძე ძალიან აქტიური იყო მრავალ ანტიკომუნისტურ მოძრაობა-ორგანიზაციებში. ის ანტიკომუნისტურ კრებებზე მონაწილეობდა, როგორც ნიუ-იორკში, ისე ვაშინგტონში, როგორც ქართული ეროვნული ერთობის თავმჯდომარე მჭიდრო თანამშრომლობაში იყო უკრაინულ კონგრესის კომიტეტთან და უკრაინულ მრავალ კონფერენციებზე და მანიფესტაციებზე მიუღია მონაწილეობა. აგრეთვე ის ერთ-ერთი ლიდერთაგანი იყო და მდივანიც საბჭოთა კავშირის არა რუს ერების გამანთავისუფლებელი საბჭოსი.

როგორც თავისუფალ სამყაროში გაბნეულ ქართველებმა, ისე თავისუფლების მეგობრებმა დუმბაძეს სახით დაკარგეს ერთი მეტად მტკიცე და დაუღალავი მებრძოლი თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ყველა ხალხისა და ყველა ერებისათვის“-ო.

მართლაც, განსვენებული ჩასწვდა რა ერთა თავისუფლებისათვის ბრძოლის საიდუმლოებას, ისიც ამოიცნო, რომ თავისუფლების სხივი ყოველ ერს ერთნაირად უნდა მოეფინოს და ყოველი ერი ერთნაირად გაათბოს.

საქართველოს განთავისუფლების საწინდარს,საზოგადოთ თავისუფლების იდეის გამარჯვებაში ხედავდა, კერძოთ კი რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა კავშირში და ერთიმეორისადმი ძმურ თანამშრომლობა-მიძღვნილობაში ამიტომ მთელი თავისი დაუშრეტელი ენერგია ამ სფეროში დაატრიალა: მეზობელ ერების ორგანიზაციებს ანმტკიცებდა და ამაგრებდა და არ არსებულებს უქმნიდა და ბრძოლისთვის აქეზებდა.

თავისუფლებისთვის მებრძოლ ერებში ამან წარმოშვა ლეოს ღრმა ნდობა და სიყვარული. მადლიერი მეზობლები ქართველებზე ნაკლებ არ დაღონებულან ლეოს დაკარგვით, რადგან ყველას ერთნაირად მოგვაკლდა დამხმარე და გამამხნევებელი.

ჩრდილოკავკასიელების ორგანიზაციამ თავის სამგლოვიარო განცხადებაში „ორგანიზაციის დამაარსებელი“ უწოდა“.

განსვენებულთან მიდიოდნენ და გული მიუხაროდათ ყველას... რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იქ დახვდებოდათ ღრმა კეთილშობილური გრძნობით აღვსილი გული. ლეოსთან იკრიფებოდნენ არა მარტო პოლიტიკურ, ან ყოველდღიურ საკითხებზე სათათბიროთ, არამედ კერძო, პირადი გაჭირვების გამოც. ექიმი სჭირდებოდა კაცს ექიმს უშოვიდა, ვექილი—ვექილს, სამუშაოს მოგიძებნიდა და ყველა ამას ისეთი ეშხითა და ლაზათით აკეთებდა, რომ არც არავის უფიქრია ან მადლობა ეთქვა და ან მორიდებოდა მის ხშირ შეწუხებას.

დიდ ხანს... ძალიან დიდ ხანს დარჩება ეს ადგილი ცარიელი და შეუვსებელი.

მშვიდობით ჩემო ტკბილო მეგობარო და კეთილშობილო ქართველო მამულიშვილო.

**დ. ჩ—რა.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ ეს მცირე ნეკროლოგი.

## თედორე სარჯველაძეს ხსოვნას.

გარდაიცვალა თედორე სარჯველაძე. ქართული საზოგადოების ძველი წევრი და მისი დაარსების ერთი მთავარი მონაწილეთაგანი. ადამიანი სინდისით სუფთა, მორალით მდიდარი, მაგრამ ქონებით ღარიბი.

მატერიალურ შესაძლებლობათა მოსახვეჭელად საჭიროა სხვა ხერხი და სხვა მარიფათი, რისი უნარი თუ შეძლება თ. სარჯველაძეს არ გააჩნდა: ისე კი, პური ჩვენი არსებისა მას ჰქონდა პატიოსანი შრომით შეძენილი. ყოველთვის ღია იყო სტუმრისათვის მისი ოჯახის კარები. პურად კარგი მასპინძელი, არასოდეს წასულა მისი ოჯახიდან უპატივცემლოდ არავინ, სანამ მწუხარება არ დაატყდებოდა მის ოჯახს და არ გამოაცლიდა შრომის უნარს, პატიოსანი გზით ლუკმა პურის მოპოებისას.

ექვსი წლის წინად მომაკვდავი შეიტანეს იგი საავადმყოფოში და რვა თვის შემდეგ გამოუშვეს, სამუშაოსათვის სრულიად უვარგისი. გულის სნეულებას, უკურნებელს შეეპყრო მისი სხეული. სულ მცირე ხანში მეორე უბედურება დაატყდა თავს განსვენებულს: დაუსნეულდა მეუღლე. ორ გასაჭირს შუა მოქანცულმა დალია სული ნახევრად უპატრონო მდგომარეობაში, სამ ივლისს, ლტოლვილობაში, სამშობლოს მოშორებულმა. ჩვენ რა შეგვიძლია ვსთქვად მიცვალებულზე!... იგი იყო სპეტაკი ბუნების ადამიანი, ყველა უყვარდა და ყველასთვის სურდა კარგი. მის ბაგეთაგან ვერ გაიგონებდა ვერავინ ცუდს, ან საგინებელ სიტყვას ვისიმეს მიმართ. თუ ლაპარაკი შეეხებოდა ცოცხალს იტყოდა: „კაი კაცია, ნუ აწყენინებთ მას“, თუ სიტყვა მოიტანდა და იხსენებოდა, ლაპარაკში მიცვალებულის სახელი, მაშინ, თედორე სარჯველაძე აღაპყრობდა ხელებს მაღლა და იტყოდა: „ღმერთმა აცხონოს კაი კაცი იყოო“, ან შესანდობარს დალევდა, თუ სუფრაზე იჯდა, ნახსენებ მიცვალებულის სულის შესანდობლად. ლტო-

## თედორე სარჯველაძეს ხსოვნას.

დასაწყისი იხ. მეხუთე გვერდზე).

ლვილობაში მე არ შევხვედრივარ ჯერ თედორე სარჯველაძის მსგავს, რომელიც ყოფილიყოს ტკბილი გრძნობით გამსჭვალული თანამოძმის, ცოცხლის თუ მიცვალებულის მიმართ.

საუკუნოდ იყოს ხსენება თედორე სარჯველაძის, ამ დიდებულ ადამიანის.

**ლადო არველაძე.**

---

## გამოთხოვება...

„...აი ეხლა ლექსი მითხარო,
უწინ შენიო არაფერი გამეგებოდა.
მე კი მსურს გულში სასაფლაო ამოვითხარო
და შიგ ჩავმარხო ჩემი ლექსი, შენზე თქმულება".

მშვიდობით ლეო... მე გაგიცანი ზაფხულის დამდეგს: მთასავით აზიდული, მკვრივი კუნთებით და ბუმბერაზული ჯანის პატრონი...

გული გქონდა „უსპეტაკეს თოვლისა" და ბავშობიდან სამშობლოს მოწყვეტილს ჭარბად შემონახული ქართული სინარნარეც და ვაჟკაცობაც...

მას შემდეგ აჩრდილივით გდევდი. სიხარულით ვადევნებდი თვალს იმ ევოლუციას, რომელიც შენ განიცადე. მალე აღადგინე ქართული ენა და ნახევარ საუკუნე გადასული ახალგაზრდული თავდადებით მიეძლვენი სამშობლოს იდეას. ჩასწვდი ერის მარადიულობას და მის გარდაუვალ ინტერესებისათვის ბრძოლის საიდუმლოებას.

ამ დროიდან შენთვის მხოლოდ საქართველო და ქართული საქმე გადაიქცა ფიქრის, ზრუნვის და მოქმედების გადაუდებელ საგნად. ეს იყო შენი მასულდგმულებელი... ამისათვის ცოცხლობდი და ამ განცდებში ჩაიფერფლა შენი მკვრივი კუნთები და ჯანმრთელობა.

შენმა სწრაფმა ევოლუციამ, შენში ქართული მამულიშვილური შეგნების მაღალმა გამოვლინებამ სამუდამოთ შეგვაერთა და შეგვადუღა. ხშირად ერთიმეორეს უსიტყვოთაც განვიცდიდით და ერთიმეორის შინაგანი მღელვარების მიზეზებს ვგრძნობდით. ეს იყო ფიცსა და აღთქმა-განმარტებას მოკლებული ნამდვილი მეგობრობა... ორი ადამიანის აზრის, ფიქრისა და განცდის შერწყმა და ერთ მთლიანობად გამოვლინება.

ამგვარი გაერთება დაედო საფუძვლად ჩვენს ერთად ყოფნას, ერთად საქმიანობას და სამშობლოსადმი მიძღვნილობას.

მუხანათმა ბედმა განგვაშორა... ჩემმა უბედობამ ზედიზედ ჩამომსხიპა ორივე მკლავები.. შენ ყველგან იგრძნობ ჩემს ტკივილებს, ჩემი გულის სიცარიელეს და იმასაც იგრძნობ თუ რამდენი გრძნობით დაგტირი... დაგტირი გულ მართალ ქართველს და ერთგულ მეგობარს...

შენ განმშორდი... მე კი მხოლოდ გემშვიდობები... როგორც განვლილ ათი წლის მანძილზე, მომავალშიაც არ დაგტოვებ, არ მოგცილდები, მარად ჩემთან იქნები, უფრო მჭიდროთ, უფრო შერწყმულად, რადგან „გულში სასაფლაო ამოვითხარე და შიგ ჩავმარხე შენი სახე, შენზე თქმულება".

**დ. სინდიკელი.**

---

## მოწამეთოგა.

ამ სახელწოდებით გამოვიდა ბ-ნ ა. პაპავას ლექსთა კრებულის მეოთხე წიგნი.

წიგნი შეიცავს 32 ლექსს და ავტორისავე წინასიტყსვაობას.

წინასიტყვაობაში მოთხრობილ „ცოდვათა" ახსნა, უნდა ვივულისხმოთ, უფრო ეროვნულ-თავისუფლებისათვის ბრძოლებში განვლილი ეკლიანი გზის მიმოხილვაა, ვიდრე პირდაპირი გაგებით „ცოდვათა" მონანიება, ან შენდობის თხოვნა. სხვანაირად ხომ აუხსნელი იქნება ამავე წიგნში სოლომონის, ვახტანგ მეფის და სულხან-საბა ორბელიანის ოდის წერა?!

ყოველ ლექსში ჩაქსოვილია ღრმა პატრიოტიზმი და ბრძოლის ყიჟინა. როგორც თვით ავტორი ამბობს:

„შენს დესპანს ჭმუნვა არ დასწოლია
და არც დაღლის დრო არა ჰქონია".

ავტორი ამ სიტყვებით ქართულ ეროვნულ ემიგრაციას ერთხელ კიდევ აგონებს, რომ მას არც დაღლის დრო აქვს და არც ჭმუნვის მიზეზი. ეს მოწოდებაა, რომ ემიგრაციამ თავისი წმინდა მოვალეობა უნდა შეასრულოს და ყველა მდგომარეობაში იყოს თავისი ქვეყნის დესპანი.

ქართულ საზოგადოებას ურჩევთ წაიკითხოს მცხოვანი ქართველის რითმად გადმოღვარული მამულიშვილური განცდები.

**დონი.**

---

## მკითხველის შენიშვნები.

„ქართული აზრი"-ს რედაქციას.

გესალმებით თქვენი გაზეთის 50-თე ნომერის გამოსვლის გამო და თან მსურს გაგიზიაროთ ზოგიერთი ჩემი მოსაზრებები და სურვილები.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ბეჭდითი საქმიანობა უფრო აქტიური და მრავალ ფეროვანი იყო 20-25 წლის წინეთ, ვიდრე ამჟამად არის „ქართული აზრი" ამ ნაკლის შევსებას ემსახურება და სხვებთან შედარებით უფრო ხშირად და რეგულიარულად გამოდის. სწორედ და მოსაწონად მიგვაჩნია თქვენგან თავიდანვე აღებული ეროვნულ-პოლიტიკური ხაზი და ზეპარტიულობა. თქვენი წერილების ტონი და კილო სერიოზულია და თქვენ არ ათავსებთ პარტიულ-გჯუფურ თუ პიროვნული დავის გამომწვევ წერილებს. საზოგადოთ გაზეთის შინაარსი კარგია: ყოველი ნომერი წინაზე უკეთესია, რაც ნიშნავს, რომ რედაქცია ამაზე მუშაობს. მკითხველების ინტერესსაც სწორედ ეს გარემოება ზრდის და მატულობს.

გაზეთს სცემთ იმ ქვეყანაში, სადაც წინეთ ქართული ეროვნული გაზეთი თუ ჟურნალი არ გამოდიოდა, სადაც ჩვენ ნაკლებათ გვიცნობენ და ჩვენც მასზე მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვაქვს. ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესო იყო ბ-ნ არ. დონაურის წერილები პრეზიდენტ ლინკოლნზე.

ვფიქრობთ, რომ მკითხველებისათვის საინტერესო იქნება საქართველოს ისტორიიდან ზოგიერთი ეპიზოდების მოგონებაც. (განსვენებული ალ. ცომაია ათავსებდა ასეთ წერილებს და შემდეგ, რამდენათაც ვიცით აღარ გაგრძელებულა). აგრეთვე ინტერეს მოკლებული არ იქნებოდა ამერიკისა და სხვა დასავლეთ ქვეყნების გასაცნობათ სოციალურ-პოლიტიკური წერილები და მათი სახელმწიფო სისტემისა და ცხოვრების რუსულთან შედარება.

სასურველი არის გაზეთში თავსდებოდეს მეტი ცნობები, რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების და კერძოდ საქართველოს დღევანდელ ცხოვრებაზე. ამ ქვეყნების ემიგრაციების პოლიტიკური ცხოვრებისა და მოქმედების და ჩვენი ადგილი მათ შორის.

ქართული ემიგრაცია, სხვებთან შედარებით მცირე რიცხოვანია და მთელ მსოფლიოშია გაბნეული. ჩვენთვის საინტერესოა გვქონდეს მეტი ცნობები მაგ. ავსტრალიაში, სამხრეთ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთში და სხ. თუ როგორ ცხოვრობენ და როგორ საქმიანობენ ქართველები.

ჩვენი შეხედულებით სჯობს გაზეთში იბეჭდებოდეს წერილები ავტორების ხელის მოწერით და არა ფსევდონიმებით.

ჩვენის აზრით გაზეთს არგებდა ქართული პოეზიის ნიმუშების დაბეჭვდაც, ძველი თუ თანამედროვე პოეტების ლექსების მოთავსება,

დასასრულ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ამ გაზეთის გამომცემელ ჯგუფის თავდადება და უანგარობა. ვიცით, რომ გაზეთი ყოველგვარი გარეშე დახმარებით არსებობს (წინაამდეგ ზოგიერთების მტკიცებისა) და მისი შემოსავლის წყაროა მის გარშემო დარაზმულ მამულიშვილთა ღარიბი ჯიბე. ღარიბი, რადგან ეს ჯგუფი მძიმე შრომით ირჩენს თავს და ამით ინახავს გაზეთსაც.

ქართული ემიგრაციის უმრავლესობა ამ გაზეთს თანაუგრძნობს, მაგრამ, რამდენათაც ვიცით ეს თანაგრძნობა უფრო პლატონიურია და არა პრაქტიკული, თუმცა მისი პოზიცია მოსწონს და მას იზიარებს. უკეთესი იქნება ქართველობამ ამ მხრივაც იზრუნოს; თავისი ენერგია და შესაძლებლობა გააერთიანოს და ის ერთად გამოავლინოს.

გთხოვთ მიიღოთ საუკეთესო სურვილები მომავალ მუშაობისათვის. თქვენ არ უნდა გაგიკვირდეთ და არც უნდა შეგაკრთოთ—თქვენს ეკლიან გზაზე დაპრკოლებების სიმრავლემ, ზოგიერთების უსაფუძვლო, ყალბ შეფასებამ და არალოიალურმა საქციელმა; რადგან ეს მუდმივი თანამგზავრია საზოგადო საქმიანობის, რომელსაც ვერც თქვენ ასცდებით. გაყევით თქვენს სწორ და სამართლიან გულის სწრაფვას და გწამდეთ, რომ ერთ დროს ამგვარი უანგარო მიძღვნილობა დაფასდება.

**ევ. აბულაძე.**

საფრანგეთი, 1962 წ.

---

ეროვნული ერთობის ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ აგვისტოს სამს, ნიუ-იორკში გარდაიცვალა ორგანიზაციის დამაარსებელი და მისი მუდმივი თავმჯდომარე

**ლეო დუმბაძე.**

---

## უცხოეთის ამბები.

**ლონდონი, აგვისტოს 6-სი.**

„დეილი ექსპრესმა" პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ჰელსინსკიდან მიღებული ცნობა, რომ აგვისტოს 5-ს ნოვოჩერქესკში (დონის როსტოვის რაიონი) მოკლულ იქმნა 500 ადამიანი იმის შედეგათ, რომ მასიურ დემონსტრაციას გაუხსნა ცეცხლი წითელი არმიის ნაწილებმა.

დემონსტრაცია გამოუწვევია პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების გაზრდას და ულუფის მიღებისათვის კარტების შემოღებას.

აღნიშნული გაზეთის ცნობით მსგავს დემონსტრაციებს ადგილი ჰქონია საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც და შედეგი ისევე სავალალო ყოფილა, როგორც ნოვოჩერქესკში.

**მოსკოვი, სექტემბრის 6-ს.**

გაზ. „საბჭოთა რუსეთი" აღშფოთებას გამოსთქვამს, რომ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილებში ხორბლეულის შეკრება დამაკმაყოფილებელი არ არისო. „ხალხს სჭირდება პური და არა დაპირება"-ო აცხადებს გაზეთი და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს გლეხობას და კოლმეურნეობის მოხელეებს.

„შეუძლებელია ყველაფრის გამართლება, —აცხადებს „საბჭოთა რუსეთი" ამინდით, სპეციფიკური პირობებით და არავითარი ზომების მიღება, რათა სახელმწიფო გეგმა შესრულდესო".

ზემოხსენებულ გაზეთის რედაქციას აზრათაც არ მოსდის შეებრძოლოს ცხოვრებისაგან დამარცხებულ საბჭოთა სისტემას და მის სახელმწიფო დაგეგმის პოლიტიკას, რომელსაც თანა სდევს „შეუსრულებლობა", შიმშილი და სილატაკე და ებრძვის ამ რეჟიმის მსხვერპლ გლეხობას.

**მოსკოვი, ოქტომბრის 3-ს.**

საბჭოთა კავშირის სააგენტო „ტასმა" განაცხადა, რომ ექვსი-შვიდი წელიწადი დაგვჭირდება კიდევ, ვიდრე ყოველ საბჭოთა ოჯახს საკუთარი ბინა ექნებაო.

საბჭოეთში ოჯახების უმრავლესობა ჯერ კიდევ ცალკეულ ოთახებში ცხოვრობენ და რამოდენიმე ოჯახს საერთო სახმარებლათ აქვთ სამზარეულო და აბანო.

ასე დაეწია და გადაასწრო ხრუშჩოვის „სამოთხემ" კაპიტალისტურ ჯოჯოხეთს".

**მოსკოვი, სექტემბრის 19-ს.**

„პრავდა" თავის დღევანდელ ნომერში ერთ ახალ სექტორს აღნიშნავს, რომელიც მიწათმოქმედების დარგში უაღრესად ჩამორჩენილი ყოფილა. ის აღნიშნავს, რომ ბრიანსკის რაიონში კართოფილის მოსავალი მხოლოდ ნახევარი იყო, ვიდრე გასულ წელსო. ბელორუსიაში გათვალისწინებული შემოსავლის მხოლოდ სამი პროცენტი მიუღიათ.

„პრავდას" უხვათ აქვს ჩამოთვლილი რაიონები, რომლებმაც მინიმალურათაც ვერ დააკმაყოფილეს მოთხოვნილება და ბოსტნეულობის დარგში ვერ შეასრულეს „სავალდებულო სახელმწიფო გეგმა"

**ტოკიო, ოქტომბრის 1-ს.**

წითელი ჩინეთი თავის არსებობის 13-ტე წლისთავზე იძულებული შეიქმნა აღიაროს, რომ ხელისუფლებამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა დააკმაყოფილოს თავისი მოსახლეობა სურსათ-სანოვაგით და განიცდის ეკონომიურ კრიზისს.

**აზიისა და აფრიკის ერები ფხიზლდებიან.**

**გაერთიანებული ერები, ოქტომბრის 4-ს.**

სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის მოღვაწემ გაილაშქრა კომუნისტური იმპერიალიზმის წინააღმდეგ, „რომელიც უფრო მრისხანეა და საშიშო, ვიდრე ძველი ტიპის კოლონიალიზმიო"

მალაიას შინაგან თავდაცვის მინისტრმა გაერთიანებული ერების საერთო ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ „წითლები ცდილობენ ძირგამომთხრელი მუშაობით დაამხონ, დაიმონონ პატარა ერები და ახალი ტიპის იმპერიალიზმს დაუმორჩილონო".

„ახალი ტიპის იმპერიალიზმი ძველზე უარესია, რადგან ის უარყოფს პიროვნების უფლებას და დემოკრატიზმის საღმრთო საფუძვლებს".

„ის არის უაღრესად ვერაგული თავისი ფორმით და საშინლად ბიწიერი შესრულების დროს. მალაიასათვის უცხო არ არის კომუნისტური საშიშროება, ის ამჟამათაც იბრძვის ამგვარ მდგომარეობაშია ტიბეტი, სამხრეთ ვიეტ ნამი, ინდოეთი და უნგრეთიო".

მალაიელი მოღვაწე ბერლინში აღმართულ კედელს უწოდებს ადამიანური უფლებების დარღვევას, რომელსაც „ყველა იდეოლოგია სცნობს, ან ცდილობს იცნოს"

ამავე მიმართულებით ილაპარაკა კამერონის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელმაც ამხილა წითელი ჩინეთის აგრესიულ-იმპერიალისტური ზრახვები.

**ვენა, ოქტომბრის 31-ს.**

მოსკოვიდან მიღებული ცნობების თანახმად საბჭოთა მოქალაქეების მღელვარება ყოველდღიურათ იზრდება და მილიცია-ჯარის ნაწილებთან უიარაღო ხალხის შეხეთქება ხშირ მოვლენათ გადაქცეულა.

ადესაში, თურმე დაინახეს რა კუბის დასახმარებლად პირველი მოთხოვნილების საგნებით დატვირთული გემი,—ხალხი დაესია და დაიწყო „სახელმწიფო ქონების" დატაცება. წითელი ჯარის ნაწილებს გაურეკია „ხულიგნები", მაგრამ მსხვერპლიც დიდი ყოფილა.

ხორცზე და კარაქზე ფასების მომატებასთან დაკავშირებით ქ. ალექსანდროვშიც (მოსკოვის რაიონი) ქუჩაში გამოსულა ხალხი, მაგრამ აქაც ჯარის ნაწილებს „დაუწყნარებიათ"

ყველაზე სერიოზული გამოსვლა კი სამხრეთ ციმბირის ინდუსტრიალურ ცენტრში, კემეროვში მომხდარა. ვენის გაზეთების ცნობით თურმე დამშეული მუშები ქვებით და ჩაქუჩებით დატაკებიან პოლიცია ჯარის შეიარაღებულ ნაწილებს. მოკლულები და დაჭრილები ორივე მხრიდან არიანო.

ამის გამო მომხდარა კემეროვის სამხარეო კომიტეტის „წმენდა", რასაც გაზ. „კომუნისტის" 30 ოქტომბრის ნომერიც ადასტურებს.

---

***

„მამულის სიყვარული ემსგავსება ნაზ კაკლის ხეს, რომლისთვისაც საჭიროა შესაფერი ნიადაგი, შეზავებული ჰაერი, რომელიც ვერ იმშვენებს დამჩაგვრელ ხეებს, რომელიც დიდ ხანს იზრდება...ეროვნულ პატრიოტულ გრძნობასაც დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება სჭირდება. იგი არის ნაზი, როგორც კაკლის ხე, ღრმა, როგორც მისი ფესვები, მაღალი, როგორც მისი წვერი, მის ტოტებსავით განიერი და კოკრებსავით ნაყოფიერი.

ჩვენში მამულის სიყვარული სხვა თვისებისაა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას, ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ არის. ჩვენს მამულის შვილებს ჰსურთ წარმატება ჩვენის ეროვნებისა და ვინაობისა, რომელთა გარეშე არა ხალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა... როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონავებისათვის, არამედ თავისი საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულის შვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისა".

**„ივერია" 1882 წ. №-1**

---

## ლეო დუმბაძეს დასაფლავება.

აგვისტოს 3-ს, დილის 5-საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შეერთებულ შტატებში ქართული საქმის დიდი მოამაგე ლეო დუმბაძე.

დასაფლავება მოხდა აგვისტოს 7-ს „მაუნტ ოლივერი"-ს სასაფლაოზე. სამი დღის განმავლობაში გადახდილ პანაშვიდებს ესწრებოდნენ, ქართველების გარდა, რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების და ამერიკული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ქართველ თუ უცხო მეგობრების და ორგანიზაციების გვირგვინებს ვეღარ იტევდა ეკლესია.

სასაფლაოზე გამოსამშვიდობებელი სიტყვები წარმოსთქვეს ინჟ. ვ. კობახიძემ და სათვისტომოს თავმჯდომარე დოქ. ო. ზალდასტანიშვილმა.

---

„ამერიკულ-უკრაინული პრესა" ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს ქართულ ენაზედაც.
114 St. Mark,s Place New York 9, N. Y.

**საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:**

*Mr. G. Djakeli*
*561 W. 141 St., N. Y. C.*

**ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.**

*EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.*
*EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.*